მწვერვალი

პოეზიის დღე.

ფასი 100,000 მ.

ორშაბათი, 7 მაისი 1923 წ.

რედაქცია. ბათომი, ახათიანის ქუჩა, № 26.
განცხადება მხოლოდ მეოთხე გვერდზე

№ 5 ყოველ კვირეული სალიტერატურო გაზეთი. № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის დღე.

მეოთხე წლის თავი პოეზიისა წელს მისის ნიმუშების საყვირთა ხმებით ამოდუღდება, როგორც ტყის ჩქარი ნაკადული, როგორც წივილი ქარიშხალში.

უკვე განვლილია რღვევის ხანა. თითქოს დაუჯერებელ ზღაპრად იქცა არა თუ ხუთეული წლის ალიაქოთი, არამედ თვით გუშინდელი დღეც. ლოკალ რევოლუციამ მოახდინა ეს სასწაული, დიდმა რევოლუციამ ჰერკულესის კუნთიან ხელით უკვე მიაშთო არა მარტო ცარიზმი და ჟანდარმერია, არამედ რუტინა ყველა სფეროსი, მასთან რუტინა ხელოვნებისაც.

დღევანდელ დღეს ,,პოეზიის დღე'' ჰხვდება მსოფლ-მხედველობის გარდაქმნისას, რომელშიაც თვით პოეზიის ფასეულობაც შეცვლილია.

არ ვეცდებით თამამად ავღიაროთ, რომ მე-XIX საუკუნის მეოცნებეთა ბუმბერაზი ილიაც კი თანადროული ღირებულებისთვის მეტად მოსაწყენია და ტრივიალობის ნიმუში, არა იმიტომ, რომ მართლა ილიას დასაგმობი რამე შექმნას, არამედ იმიტომ, რომ რევოლუციამ იგი თანადროულობას ისევე დააშორა, როგორც უტელეგრაფოთ ჩვენი ქვეყნიდან დაშორებულია ატლანტის გარდამხრის ქვეყნები, ხოლო უტელესკოპოთ რომელიმე სფეროს ცდომილი.

იმ ლოზუნგმა, რომელიც ილიამ წამოაყენა თავის დროინდელ თაობასთან საბრძოლველად, თავისი საქმე შეასრულა და გამარჯვებული მიტომა სდგას, მაგრამ ეს უკვე ვიცით, მოგვეწყინა კიდეც. ეპოქა, რომელსაც იგი გვაუწყებდა და მესიანისტურად გვჯეროდა, უკვე გადაშენებულია. სინამდვილის დაუჯერებელი მოვლენებით, ეპოქა იგი ჩვენთვის შორეული პასსაჟია, ვინაიდან ჩვენ უშორესი და უშინაარსესი ხანის ზღვა გადავლახეთ რევოლუციის სასტიკ კვერთხით.

დღეს ,,პოეზიის დღე'' ვიზიონერობის მანტილს ისხავს. იგი მეტეორების ორბიტაში აღზნებულ ცეცხლის გამოსხივების, ვინაიდან მას ჰქვიან ან სახელოვან გმირთა შვილები, ან და თავდადებულთა მემკვიდრენი.

დღეს ,,პოეზიის დღის'' სარანგნი თვალსა გვტაცებენ ახალგაზრდური ალტყინებით, ფოლადის სამუხლეების ჭრიალით და კუნთებში უხვად დაგროვილი სელიტრის მარაგით: ტყვიამდ კი არ ეზიარნენ იგინი მხოლოდ წელს ჩვენი ცოცხალი მითოლოგიის ბუმბერაზ ვაჟას სულს, მდევ-კაცთა ნაფეხურებში რომ დაიბადა გრიგალი სულით და ბუნების ყველა ქალწულ ელემენტებით, შიშველი თავით რომ შეჰყურებს ცის მსისხანებს.

უკანასკნელ ათეული წლის სარბიელზე ჩვენმა პოეზიამ პოლიტიკურ პერტურბაციების მიხედვით განვლო ჯვარცმის გზა, სისხლის დანთხევა, იმასაც ჰქონდა საკუთარი კრწანისი ველი, ვატერლოო და სედანი, მაგრამ იმავე დროს თავისი სუასონი და ვერდენი.

ჭეშმარიტად, ძნელია ჩვენი მწერლობის მატიანეში შევჩერდეთ ისეთ საფეხურზე, სადაც დღევანდელივით ხელოვანთა ნაწარმოებში გვხვდებოდეს დიდი აზრები და უპუბლიცისტოთ გალექსვებდეთ თავიანთ სითბოთი, საამო ფორმით, მგზნებარე შინაარსით, სრულ მყოფ ხაზულობით და კეკლუცი ფანტაზიით.

,,პოეზიის დღე'' წელს შვიდეულ თანავარსკვლავედის მეოთხე პლანეტაზე გადადის და მიტომ უფრო მეტად ჩირაღობს: შინაგანი წვა თავისთავად იღვრება მუსიკალურ ფორმებში, ნთქავს ხაზებს და კონტურებს, ხოლო მხატვრობას ფერადთა სიმფონიით ამუსიკებს.

,,პოეზიის დღე'', თქმა არ უნდა, მეშვიდე პლანეტის შემოერთებამდე კიდევ სივრცეთა გადალახვას საჭიროებს, მართალია ისიც, რომ დღეს ხელდასმით იგი ვერ მიგვითითებს მარადისობის მეტოქეზე, რომელიც რუსთაველისებურად შუბლზე ვარსკვლავით და ცეცხლის ენით დაიარებოდეს, მაგრამ მართალია ისიც, რომ წელს ,,პოეზიის დღეს'' ჩვენი მწერლები და ხელოვანნი მრავალ სათუთ ექსპონანტებს გამოგვიფენენ, რაც მსოფლიო ხელოვნების ვიტრინებს ისევე დაამშვენებენ, როგორც სამხრეთის მზით ანთებული ანთრაკის თვალი ანტონიუსის გულზე მიხუტებულ კლეოპატრას სამკლავურის გველს.

მწვერვალის ახლოს.

თქვენი შავი ზღვის პირი მოიჭედა ბაწია ალმასებით.

შვილი მაისის ცხრათვალა მზე მისი ოქროს გამჭვირვალე კალთიდან აბნევდა ამ ალმასებს.

მოსცურავდა ნავი ლურჯს ეთერში
ოცნებით შეთხზული;
სიჩქარით გამოკოპიტებული.

შიგ იჯდა ასული ჰაეროვანი, ნატიფი სახის, ნაკვთიერი.

მის ფერხით მუხლ-მოდრეკილი სახიერი ვაჟკაცი, ჩაქურმში გამოწყობილი, სამეურად ღიდინებდა.

ნეტარი იყო მისთვის ეს წუთი:
ზე-აღმაფრენი, ამამაღლებელი
სამოთხიდან ჰყავდა ეს ასული მოტაცებული და შეჰგალობდა მისთვის, რომ იცოდა ასულის ჯადოსნური ძალა.

აი ასულმა მარჯვენა ხელი გაიწოდა თქვენს მწვერვალისაკენ
და მყის:
მთის კალთებს შეეფინა ბრინჯაოს და მარმარილოს ქანდაკებანი.
ერთი კი, სხვებზე უფრო მაღლა, მეტად საამური დასანახი იყო:
ის ჩამოძერწილიყო
შრომის სუფევად.
ანგელოზის თვალები მიაპყრო თქვენ ქალაქს
და მყის:
ქალაქი აივსო სამხატვრო დარბაზით, მუზეუმებით.
მარცხნით ნელა შეაბრუნა პირი:
თეატრის კარები გაიღო ფართედ,
ახალისდა იქ ფერადი ცხოვრება,
იწყო როკვა ახალგაზრდობამ.
ჰაერი გაივსო ზე-ამტაცი მუსიკალურ ძგერით.

დახარა თვალნი, კდემა მოსილნი და... სტამბის რიტმიულ ხრიალში გამოსრიალდა ბრკიალა, სპეტაკი ქაღალდი, რაზედაც იყო ნაკვალევი ჭეშმარიტი პოეზიისა.

ნავში დაჩოქილ ვაჟკაცს ნეტარებას არ ჰქონდა საზღვარი და მოწიწებით იგი ეამბორა ასულის კალთას.

ეს მოხდა შვიდ მაისს ცხრა-თვალა მზის მიერ ბაწია ალმასებით მოჭედილ თქვენი შავი ზღვის პირს, თქვენსავე მწვერვალს ახლო.

შალვა დადიანი.

ქართველი მწერალი და ცხოვრება.

ჩამომხმარი... მუდამ სევდიანი და შეშფოთებული სახით მოარული... ყოველთვის გულჩათხრობილი და მწუხარე... მიუსაფარი, იშვიათად გაცინებული, და მის სიცილს ყოველთვის მთელი ზღვა ნაღველისა თან სდევს..

ყველასაგან მივიწყებული, დავიწყებული ტანისამოსით... მაგრამ კოხტა და ამაყი... მუდამ სადღაც მიიჩქარის.. მაგრამ ეს თავაზიანობას ხელს არ უშლის და გზაზე ყოველს ნაცნობს მეგობარს ესიყვარულება. . გაებასება. .

ასეთია გარეგანი სახეები ქართველი მწერლებისა...

მისი გული ტკივილებისგან დაკოდილია... მას ხშირად სასოწარკვეთილების კლანჭები მძლავრად ჩაიჭერს ხელში და მიიყვანს უფსკრულის კიდეზე, მაგრამ რაღაც იდუმალი ძალა ელვის სისწრაფით უკან ეწევა და მისსა და უფსკრულს შორის რაღაც მიუვალ ზღუდეებს აღმართავს...

ასეთია შინაგანი ბუნება ქართველი მწერლისა.

სული ძლიერი აქვს... უდრეკი... შეუპოვარი... პირდაპირი... მებრძოლი და მამაცი...

მათ ფიზიკურ არსებობის დევიზს დიდი აკაკი ასე ახასიათებს:

,,ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ;
გულში არ შევუშვებ შურს
და მით ბედნიერი ვარ!...''

ნიკო ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, ე. ნინოშ-

ბუნების სიმღერა.

სიზმრათ ვნახე: მზეს ქვეყნისთვის
დაეფრქვია ოქროს მტვერი.
შვების ქორწილს დავესწარი
და იქ ლხინით დავითვერი....

მინდვრათ ვკრეფდი წითელ, ყვითელ,
თეთრ ყვავილებს და ლურჯ იებს,
ნელ ტკბილ სურნელს რომ აკმევდა
დაბლა ბარს და მაღლა მთიებს.

ვარდის ბუჩქზე ბულბულს ცრემლი
ნეტარების ჰბანდა ლაწვებს:
ყვავილთ კრებულს დანაკლისზე
დასტიროდა თითქოს ქაცვებს.

რუ ჩუხჩუხა ალტაცებით
მზეს უმღერდა ჰიმნებს ბროლის:
ულოცავდა გამარჯვებას,
როგორც შედეგს ხანგრძლივ ბრძოლის!

ზღვა ბობოქრულ რყევის შემდეგ
იმშვიდებდა ნელ-ნელ გულსა
და სიმშვიდის ამ წუთშიც კი
ძალას გრძნობდა ბობოქრულსა!

ზღვის ფირუზის სარეცელზე
შვების სიო ჰამაკობდა
და მზის ჯიღით თავმორთული
ზვირთი ზვირთით ამაყობდა.

და ბუნება ძლევის ჩანგზე
დასძახოდა ამ სიმღერას:
«გაუმარჯოს გაზაფხულის
ალტაცებულ გულის ძგერას!

გაუმარჯოს ამ მთას, იმ მთას,
ამ ბარს, იმ ბარს, ამ ველს, იმ ველს!
გაუმარჯოს მზის ამოსვლას!
გაუმარჯოს მზის სხივს პირველს!

გაუმარჯოს, შვების ქორწილს,
გაუმარჯოს, შვების უფალს,
გაუმარჯოს, ბრძოლის ხმალს და
შრომის ჩაქუჩს თავისუფალს!''

გამეღვიძა, და რაც სიზმრად
გავიგონე, მომეჩვენა,
ცხადათ ვნახე ქვეყანაზე
საზეიმო აღმაფრენა!

ნ. ზომლეთელი.

ცრემლებით სითვრალე.

სული დამისწყლულა... ზრახვას შეაჭკნა ყლორტები,
კვიპაროსის ფოთლებში აღარ ისმის გალობა,
გულს ვეღარ მომიბრუნებს საგანგებო ვედრებაც
და რაღაც შემერჩია ცრემლებითა მთვრალობა.

ვარსკვლავთ ხომლი არსად სჩანს, ზეცა ვერ აციმციმდა,
ღამე არის და შავად ღელავს ცის დაფთონა,
თუ სხვა ავდარს მთვლის, მე ყველე გამიწვიმდა,
ცრემლად ჩამომეღვენთა სულის კავკასიონი...

ვეღარ მხიბლავს, მიზიდავს მე მსოფლიოს აკორდი,
ჰარმონია დაკარგა ბულბულისა გალობამ,
სულს აწ ვეღარ მომიბრუნებს საგანგებო ვედრებაც
და რაღაც შემერჩია მწველ ცრემლებით მთვრალობა.

1922 წ. ივნისი.

ნ. უნაგერელი.

ქველი მესხეთი სალამს უძღვნის საქართველოს პოეზიის დღეს!

შვილი, ირ. ევდოშვილი... აი შარა— ვანდედით მოსილი საერთო სახეები ქართველ მწერლებისა, ეს სახეები, ქართველი მწერლებისა მკვეთრად გადადიან შთამომავლობაზე, რომელნიც მამა-პაპათა ნაანდერძევს სასოებით ატარებენ გულში...

როგორია უმთავრესი მოტივები ჩვენის მწერლობისა? მესამოცე წლებში ,,თერგდალეულნი'' ამას მკაფიოდ გვიხატავენ:

,,დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში
რომ ერისა მოძმეთ ვიყო
ჰმუნვასა და სიხარულში''.

გვეუბნება მათი ბაირახტარი ილია ჭავჭავაძე. დიდ ილიას ამ აზრს იზიარებს მისი თანამედროვე მეორე დიდი მგოსანი აკაკი, რომელსაც „ჩონგური'' მისთვის უნდა

„რომ დაჩაგრულს მისი ძღერით
თვალთ ცრემლები ეშრომოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს.''

უფრო გვიან, შედარებით უფრო ახალგაზრდა მაგრამ, დიდი მგოსანი ,,მთის არწივი'' ვაჟაც ეხმაურება ამ აზრს და ასკვნის რომ პოეტს ,,სტვირი'' იმისთვის უნდა ჰქონდეს, რომ ათქმევინოს მას — სოფლის წყლული და ჭირიო''.

,,არც კაცი ვარგა რომა ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელსა და სოფლისთვის არა იზრუნოს''.

უერთდება შორიდან ნიავისგან გადმობერილი სევდით მოსილი ხმები სათაყვანებელ მგოსნის ნიკო ბარათაშვილისა.

ხალხის ზიარება უმაღლეს ესთეტიურ გრძნობათა ემბაზიდან, პოეზისა და მათ შორის ვიწრო კავშირის გაბმა, ხალხთან ყოფნა და ხალხისთვის თავდადება... აი უმთავრესი მოტივები თავის ქვეყნის სადიდებლათ მისივე სამსხვერპლოზე ზვარაკათ გამზადებულ ქართველ მწერლებისა.

მამა პაპათა ამ წმინდა ანდერძს თანამედროვე ღირსეული მემკვიდრენი პირნათლათ ასრულებენ. ,,პოეზია ხალხისთვის'' ჰღაღადებენ ისინი, და ამ იდეით აღფრთოვანებულნი ,,სადარაჯოს არ სტოვებენ; ავდარს აგდებენ არადა'' კ. მაყაშვილის სიტყვებით რომ ვსთქვათ და სამსონისებურის სიძლიერით შეუპოვრად მიიწევენ წინ, რათა გაკაფონ ეკალნარით დაფენილი ძნელად სავალი გზა...

ასეთი იდეებით ანთებული ჩვენი მწერლები თავის საქმიანობას მხოლოდღა თეორიული სფეროთი არ საზღვრავენ.

მათ არ უყვართ გარედან მაყურებლის როლში ყოფნა მათ კეთილი სურვილები და ფერადი ნატვრეში არ აკმაყოფილებთ.

პასიურობა და ქართველი მწერალი ერთმანეთის მოსისხლე მტრები არიან და ამიტომაც ისინი ყოველთვის იბრძვიან ჩვენი ცხოვრების შუა გულში და ენერგიულად აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას... მათი ცეცხლი აქაც უშრეტად გუზგუზებს.

ქართველი მწერალი პოლიტიკური მოღვაწე, ქართველი მწერალი მრავალ-ფეროვან საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავე ხშირი, ძალიან ხშირი მოვლენაა საქართველოს ყოველს კუთხეში. ამნაირათ, ჭკაც თავის წვლილი შეაქვთ, თავის შემოქმედების დაღს აჩენენ...

ასე დაქუცმაცება მწერალთა საქმიანობისა, ასე დაბანდება მწერალთა ნიჭისა სხვა და სხვა დარგში, შეიძლება პირადად მწერლისთვის დამაკმაყოფილებელი იყოს... შეიძლება ხალხისთვის ანდა უკეთესი იქნებაც თქვათ მის პატივის მცემლისთვისაც სასიამოვნო იქნეს, მაგრამ თვით მწერლობისთვის კი დიდათ მაზარალებელია...

მწერალს საშვალება არ ეძლევა სავსებით გაუშალოს ფრთები თავის შემოქმედებას და მაქსიმუმი ნაყოფიერებისა გამოიღოს და ეს არის სხვათა შორის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი რომ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ყველა დარგი ერთნაირად ვერ განვითარდა და თვით ეს განვითარების პროცესი მხოლოდღა კუს ნაბიჯით მიიწევს წინ.

სხვა დარგთან შედარებით პოეზია ძლიერია. მრავალი სანუკვარი სახელები ამშვენებენ მას და ამ სახელებით, კადნიერებად არ ჩამოგვერთმევა ვსთქვათ, კულტურულ ერების პოეზიასაც კი შეუძლია იამაყოს... მაგრამ მოისუსტებს ბელეტრისტიკა. ყაზბეგთან ერთად ქართული რომანი ჩაესვენა საფლავში. რამდენიმე მარგალიტი და მოსჩანს ჰორიზონტზე და მათი ციმციმი მხოლოდ ერთნაირს იმედსა ჰბადებს... ძალზე სუსტია ქართული დრამა... არა გვაქვს კრიტიკა...

საქმიანობის მრავალ ფეროვანება დიდს დროსა და ენერგიას ხარჯვას მოითხოვს... და უკვე მოქანცულს, რომლის სხეული, რომლის სულიერი მდგომარეობა დასვენებისთვის არის გამზადილი, არ შეუძლია შექმნას დიდი რამ. . დიდს—დასვენებული ცხოვრება და ხანგრძლივობა უნდა, და ამას მოკლებული ქართველი მწერალი მთელს თავის ცხოვრებას წვრილ-მანების შექმნას ანდომებს და ამ წვრილ-მანებით იკვებება დღეს ჩვენი საზოგადოების ესთეტიური მოთხოვნილებები.

ქართველი მწერალი უნდა განიჯნოს სხვა საქმიანობისგან, მას უნდა ჩამოსცილდეს სხვა და სხვა ყოველდღიური საზოგადო საჭირბოროტო საკითხები, მის პრაქტიკული საქმიანობა სავსებით უნდა გადატანილ იქმნას სამწერლო ასპარეზზე... მისი აზრი, მის გონება დღე-მუდამ ფარვანასავით უნდა დატრიალებდეს ქართულ მწერლობას., იგი მთელის არსებით უნდა ზრუნავდეს ქართული სიტყვა კაზმულ მწერლობის მიუწდომელ სიმაღლემდი აყვანისთვის და სწორედ ეს იქნება თავდები იმისა, რომ ქართული მწერლობის ყოველი დარგი იწყებს ჩქარის ტემპით განვითარებას და ნაყოფის სწრაფად გამოღებას.

ქართველ მწერლის შემოქმედებას ერთი გარემოებაც ძლიერ ჰბორკავს: მას არა აქვს სარბიელი... ჯერ ერთი ქართველი მწერალი როდესაც რამეს ჰქმნის, არა აქვს გარანტია ეღირსება თუ არა მას გამომზეურება... ხეირიანად დაყენებული გამომცემლობა სალიტერატურო ჟურნალ გაზეთებისა ჩვენში ჯერაც არ არსებობს.

მართალია, არის ისეთი მომენტები, როდესაც სალიტერატურო ჟურნალ გაზეთები სოკოებივით მრავლდება, მაგრამ ეს სულ მოკლე ხნით... ყველა ისინი უდღეურნი არიან და რამდენიმე ნუმრის შემდეგ საუკუნო განსვენებას ეძლევიან.

ნაწარმოებთა წიგნათ გამოცემა ჩვენში ყოველი მწერლის ტკბილი და მიუწდომელი ოცნებაა, ზოგი კი ამაზე ოცნებასაც ვერ ჰბედავს... წიგნათ გამოცემა ნაწარმოებთა ეს რჩეულთა ხვედრია...

თუ რომელიმე მწერლის ნაწერი სადმე დაიბეჭდა ან წიგნათ გამოიცა... იმის გარანტიაც არ არსებობს მას წაიკითხავს ვინმე, თუ ისინი რომელიმე წიგნის სავაჭროში ვიტრინისა და თაროს მტვერის მსხვერპლი შეიქნება. ქართველი მკითხველი საზოგადოება .. მაგრამ ეჰ, ეგ საკითხი ჩვენი ხალხის ძალიან მტკივნეული ადგილია, რომლის განკურნებასაც მრავალ ათეულ წლების განმავლობაში საბოლოოდ არაფერი ეშველა.

ქართველმა მწერალმა რისთვის სწეროს, სად სწეროს, როგორ სწეროს... ეს მწარე ფიქრები ხშირათ მოსვლია ყოველს მათგანს და მისთვის სულიერი სიმშვიდე წაურთმევია...

დღეს შვიდი მაისია სიტყვა კაზმულ მწერლობის დღე... ყოველი ქართველი მწერალი ყველას საჩვენებლად ზეიმობს... მაგრამ გული კი დახურული აქვს. მის სიღრმეში ზეიმის სიდიადე სავსებით ვერ სწვდება და განუწყვეტლივ ოცნებობს იმაზე: დადგება თუ არა ისეთი დრო, როდესაც ქართველ მწერალსა და ქართველ მკითხველს შორის ჩაუნგრეველი ხიდი გაიდება, ქართველი მწერალი პროფესიონალი შეიქნება და ეს პროცესია მას მისცემს საშვალებას. რომ მწერალმა, როგორც ადამიანმა, ადამიანური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს და ,,კაცთა შორის კაცათ მიმჩნეულ იქმნეს.''

ქართველი მწერალი ფარხმალის დაყრას ჩვეული არ არის, იგი მომავალშიც განაგრძობს ერთხელ არჩეული გზით მსვლელობას იმ იმედით, რომ ჩვენ მიერ გაკვრით აღნუსხული ნაკლულევანობანი წარიხოცებიან და ქართველი მწერალი ქართველ საზოგადოებასთან ერთად პოეზიის დღეს გაორკეცებულის სიამოვნებით იდღესასწაულებს.

სერ. გერსამია.

ნახშირის ხაზებით.

(წლიური ქრონიკა).

მარჯანიშვილი. ჩვენს ხელოვნების გალერეიაში მთელ წლის განმავლობაში ყველაზე თვალსაჩინო ბიუსტი თუ ვისმეს გამოუდგია, ეს ისევ მარჯანიშვილია. მე არ ვიცი, ვინ არის იგი. არც მინახავს, რა ჰქვიან მის ხელოვნებას, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისი სასწაულებრივი გამოჩენა ჩვენი თეატრის სიკვდილის დღეს მოხდა: რა ბედნიერებაა ამ მხრივ აღდგომის სასწაული, მაგრამ რა ბედნიერება უნდა იყოს ის უმაღლესი განცდა, როდესაც ჰგრძნობ და იცი, რომ სასწაულის მომხდენი თვით შენ ხარ!

მარჯანიშვილი ამიერიდან ჩვენი ხელოვნების მატიანეში ისევე აღინიშნება საკუთარი სახელით, როგორც ჩვენი თეატრის დაარსებას მარადიულად თან გაჰყვება გიორგი ერისთავის სახელი.

ყბად აგდებული ჩვენი მსახიობი, თვით მთავრობის მზრუნველ ხელიდანაც უარყოფილი თეატრი მარჯანიშვილის კვერთხის დარტყმით ფენომენათ იქცა: ჩვენ დავრწმუნდით, რომ ,,არც ისე დაღუპული ვართ, ძმისწული ვართ ფესვისა'', თურმე ჩვენც გვქონია ცეცხლი, თურმე სახიობის ყოველგვარი ელემენტი უხვად გვქონია. ამას უწოდა მხოლოდ ჯადოსანი, სჯი[illegible] მოსე, სჯიოდა გენია, რომ უბადრუკ ,,მზის დაბნელებითაც'' კი საზოგადოების მოსეირე თვალისთვის დაუსრულებელი ზეიმი გადგეშალა.

არა, ბედნიერია მარჯანიშვილი რომ სამშობლოს კერას დაუბრუნდა.

მაგრამ არანაკლებ ბედნიერია ჩვენი კერა, რომლისთვისაც განვლილ წელში აღმოჩნდა ჯადოსანი, რომელმაც ჩვენი კვალი თეატრი სატრიუმფო კოლონზე დასწვა და იმ ბრილიანტათ ჩამოადნო, რომელიც თვის შემდეგ აღარავითარ დაშლისა და რღვევის კვალს არ სტოვებს.

მოურავი მოურაველი, ეს ახალი პსევდონიმი გრ. რობაქიძისა. საგულისხმიეროა, რომ ათხუთმეტიოდე წლის წინ იმპერატორ ნაპოლეონის როლში გამოსული დღეს მოურავობას სჩემობს და სჩემობს ისევ ლექსის წერაში. პირველ დებიუტზე როცა ,,სახალხო სახლში'' მან პირველი თვისი ,,კოცონი'' წაიკითხა, დიდად ვატკინე გული გულწრფელი აღსარებით, რომ ის არაა ,,მოგვი მგოსანი'', რომ... უნდა შეიცვალოს აზრი და დარჩეს ,,ცოცხალი სიტყვის რუსთაველად'' მეთქი, მაგრამ, სჩანს, მის ბედის--წერას მოუსურვებია მისი ლოლობა და, აჰა, გვთავაზობს ,,ზანგელა ბუდეებს'' და ,,ლუესის ლიარწს'' და ,,ქალაქს ფენომენს'', სადაც, სამწუხაროდ ისეთ კარიკატურულ სახეს იღებს. როგორც ალკიბიადეს სატრაპის გრძელ სახელოიან სამოსელში, რომელიც მეტის მეტად ხალვათად ადგა.

,,კოცონიდან'' ,,ქალაქ ფენომენამდე'' თუ არ ვცდებით ათეული წელი უნდა იყოს განვლილი. ეს კი საკმარისი მანძილია დარწმუნებულიყო, რომ ის არ არის პოეტი.

არ ვარგა დაჟინება, მაგონდება დიონისე სირაკუზელი, რომელსაც პოეტობით თავი მოჰქონდა და ფილოქსენმა კი მისი ლექსების განხილვაზე სთქვა, კარგი იქნებოდა, რომ დიონისეს ამ ლექსების წერის ნაცვლად ისევ სარეცხი ეჭეჭყა. დიონისემ მას ციხეში თავი ამოაყოფინა, ხოლო როცა გაანთავისუფლა და ახალი ლექსის განხილვა მოსთხოვა, მან დაიძახა: ძევსო ძლიერო, ისევ ციხეში წამიყვანეთო!

მე არა მსურს, რომ მოურავი უკვე შორეული და დამარცხებული პოეზიის სფეროში ტირან დიონისეთ ვიგულო და მე კი ფილოქსენის როლი შემხვდეს, მაგრამ მაინც ვამხელ, ხელი აიღოს პოეტობაზე, მით უმეტეს, მისი ცოდნა და მჭერმეტყველობის ვირტოუზობა დიდად გვჭირდება ჩვენი ხელოვნების ხეივანთა დასამშვენებლად.

ლონდა. ჩვენი თეატრის აღდგომას თან სდევს **ლონდას სახელიც.** შინაარსი უკვე გაგვაცნეს გაზეთების ფურცლებზე.

მართალია, ამ პიესის გარჩევაში კრიტიკას ეტყობოდა ცალმხრივობა, როგორც გაზვიადებულ ქებაში, ისე გაზვიადებულ დაწუნებაში, მაგრამ ის ნაწყვეტი, რომელიც გამოქვეყნდა ,,რუბიკონში'', აშკარად გვამცნევს კეთილშობილურ სიამაყეს და პლასტიურ გრაციას.

ყველაფრით ეტყობა, რომ ეს სენტიმენტალური პოეზია კი არა, არამედ ხმები მაჟორის ტონით, სადაც ქალიც, სიყვარულიც და ცის ვაებაც საზოგადო რიტმით მკაცრ მარმარილოს ფორმებში იკვეთებიან.

ამ პატარა ნაწყვეტით ვგრძნობ ნაპერწკლებს, ვგრძნობ გოგირდის სიცხოვლეს, დედამიწის გადარუჯულ გულს ცეცხლის წვიმას რომ დაუგროვებს, ვხედავ ალმათის ფერადებსაც, ძოწეულს, ვგრძნობ სინათლისა და ფერადების ქვეყანათ მარმარილოს კოლოსებათ აზიდულ გმირ ხალხს, რომელსაც ნთქავს უცნაურ სადაისადის ანთებული ჩირაღის ალი.

ჩვენ ვისურვებდით გრ. რობაქიძე დარჩენილიყოს ჩვენი დრამის მოურაველ მოურავათ.

ანთებული ხეივნები. ეს ,,მზის სიცილის'' გაგრძელებაა. აბაშელი აქაც ნამდვილი ჰომიროსის დროის წარმართია, რომლისთვისაც ჯერ ქრისტე არ მოსულა. მართალია, ხშირად შეხვდებით ,,ჯვარს'' და ,,ბარძიმს'', მაგრამ აქაც, კარდინალის სამოსელში გამოხვეული აბაშელი ისევ წარმართია სულით, გულით. იგი ეტრფის სილამაზეს როგორც ცეცხლით დამწვარი ფიდიუსი, რომელიც გოლგოთას არ იცნობდა მაგრამ შემოქმედების ჯვარცმით უკვდავება კი დაიმკვიდრა.

ს. აბაშელს უფრო ახარებს სტატუა და ნათელი შუა დღე, ვიდრე ბინდის სამოსელში ფეერიულად გამოცურებული ნიკო ბარათაშვილის სავედრებელი მთაწმიდა. მარმარილო და ძოწეული, სიკაშკაშე და კოლორიტის სიუხვე, სადაფ ლარნაკზე ნაირ-ნაირი თვლებით კენჭაობა,—აი რა ნივთიერებისგან შესდგება პოეტის სიზმრები და ეფემერული კოშკები. მისი ცა მუდამ კაშკაშაა, თუ ღრუბელსა სჭვრეტთ, ისეც ისე, თითქოს ძევსეს სტატუის მარმარილოს ღრუბელი შემოსტვრევიაო.

ერთი რამ იყო აღსანიშნავი ,,მზის სიცილში'' და ნიშნობლივი თვისება თან დევს მეორე წიგნსაც:

პოეტის შემოქმედება სურნელთა ფლაკონების მომხიბვლელ ფორმებს დაეძებს, ვიდრე შიგ მოსათავსებელ საფირქვევ სურნელს. მის ოქროს წიგნის ფურცლები სულ სილამაზეა, ოქროს მტვერები, იაშმისა და მარგალიტის კუნწულა, რომელიც თვალს ასეირებს როგორც ფეირვერკი და სითბოს კი არ განგაცდევინებთ.

,,ყანწიზმის'' უკან დახევა. ,,ცისფერ ყანწელთა'' შორის დიდ გარდატეხას ვხედავთ. იმათაც ბარტყები წამოეზარდათ, რომელთაც ომი გამოუცხადეს. და ამ ომში მოხდა ,,ყანწელთა'' ნათლის ღება: მათ გაბედულად სიმბოლისტების სახელწოდება მიიღეს. მართალია, პოეზიაში სავსებით ვერ განთავისუფლდნენ სნეული სულის გავლენიდან, მართალია, რომ სიდამპლე და ყეფა მთვარისკენ რომელიმე სოლოგუბისებურად კიდევ ლეიტმოტივობას ეწევა მათს შემოქმედებაში, მართალია რომ აპაშობა, ქურდბაცაცობა და ლოთობის აპოლოგია ხრწილების გოლგოთისაკენ მიგათრევთ ,,ყანწელის'' ხელით, მაგრამ მართალია ისიც. რომ ძმა ბიჭურ ღრიანცალს, სიფილისების გაიდეალიზაციებას, ბუასილის გუნდრუკს მიეღო ბოლო და პაოლო იაშვილის შეძახებით: ,,en retour!''— უკან დახევის ხანა დგება. პოეზიის გამოჯანსაღება, ხერხემალში გასწორება და მუხლების მომაგრება,—აი რისკენ მოუწოდებს პაოლო სახელმძღვანელო ერთ წერილში. ჩვენი ხელოვნებისთვის განწმენდა ,,ყანწიზმისა'' და გამოჯანსაღება გაცილებით სასარგებლო იქნება, ვიდრე ბაყაყუყუნი, მთვარის სიდამპლით თავის ქება, მალარია—ლუესის

ლორწი“ და „ზანგელა ბულის“ ფუნდრუკი და ბოლოს ტიციანესა, მისი ცოლის, მისი შვილის, მისი ბაბუის და მისი ჩოჩრების ლიტანიები და თავის ქება, რასაც, ვულგარულ ენით რომ ვსთქვათ, პოეზიისთვის კიტრის ფასიც კი არა აქვს. ,,ყანწელთ“ რომელთაც დამპალ ჭაობის ციება დაუფლებია, ექირვება მეტი თამამი ჰალვანიზაცია, მეტი ჯანსაღ პილულების მიღება, რომ უკან დახევა სრულს გამოსადლებით დაგვირგვინდეს.

,,ალეთოლოგიის საფუძვლები“, ,,სული და იდეია“.—აი ორი საგულისხმიერო წიგნი. ერთ მხრით პროფ. შალვა ნუცუბიძე, მეორე მხრით კ. კაპანელი. ერთი ოპტიმისტი, მეორე უაღრესად პესსიმისტი. მათ კვლევას ქართულ უდისციპლინო აზროვნებისთვის დღეს დონკიხოტის როლი არგუნა ბედმა: აზრი, რომელიც ან მეტად ადრე იბადება ან და ნაგვიანევად, სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. ჩვენი საზოგადოებრივი გულგრილობა ამ წიგნებისადმი ამისი საუკეთესო საბუთია.

აღძრული საკითხები, თქმა არ უნდა, ევროპის აზროვნებისთვის მოძველებულია. ჩვენში მათი აღძვრა სასიხარულო მოვლენაა თუნდა იმ იმედით, რომ მთელი თაობა გვეზრდება, რომელიც ერთგვარ დისციპლინის ქვეშ იწვრთნება ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში. მაშასადამე, ხსენებულ წიგნების მერმისი მომავალშია.

მათს შესაფასებლად მარტო ქრონიკა არა კმარა, ნახშირის ხაზით კი შემოკლებულ კონტურში ავტორებს ვუმადლი დაუშრეტელ ენერგიისათვის, აღებულ საგნისადმი უმაღლეს სიყვარულს და პატივისცემას ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისათვის.

დ. ქ.

მზის ტრფიალი.

ზაფხულის ნაზი, თბილი საღამო; ჰაერში ძლნარი ყვავილთ ნექტარი საამო სურნელს აკმევს ზეფირი; ზღვის პირად შლილი ვრცელი ბულვარი; ლოროთქოშა მოლი, ზედ მოქარგული ვარდ-ყვავილები და შორდევანი ანკარად მიქეფი. გრძელ ხეივნებით გასალტულა გზა და ტუია მათში ჩარგული ნაზი მიმოზა და მაგნოლია, პალმა, ბანანი და აზიდული კიპაროსები აგვირგვინებენ იმ საოცნებო სიმშვენიერეს. იქ შორს ხეეულ მოლურჯო ნისლში მოსჩანს გრძელ კედლათ ცამდე აწვდილი კავკასიონი მარადიული თოლით ფარული.

და თვით ბაღის წინ უწვდენ სივრცეზე ნანაობს პონტი; ატოკებს გულ-მკერდს, ვით სატრფოს მლოდე ტურფა ასული. ლაჟვარდი ზვირთი თავის სურვილებს ეფუჩუნება ნაპირის კენჭებს, ნიშნათ მორცხობის იჭურავს თავზე ქაფის თეთრ რიდეს. ერთი ფერი აქვს ცას და ზღვის ტალღებს: ნაზი ფირუზი და მოხიბლავი, როგორც ქალწულის ლურჯი თვალები.

ლივლივებს პონტი; ტკბილათ აღელვებს გიჟი სურვილი; შორით უცქერის მიჯნურს საყვარელს, ელის ცახცახით მასთან შეტკბობას მის ვნებურ ალერსს.

და ის კი ლაღი, ტურფა, ჩაუქი; მარადიული სიმშვენიერით გაბწყინვებული, მოსცურავს ნელა ცისფერ ეთერში, სატრფოს მშვენიერს უახლოვდება, მოსცურავს ვნებით, მწვავე ცახცახით, რომ დაადნეს მკერდზე, ჩააკვდეს გულში. მზე ჩამავალი სინაზით აფრქვევს ოქროს სირმებათ ცხუნვარე სხივებს, ალმურს უკიდებს ცას და ბუნებას, მოსავს პატარძალს ოქრო ქსოვილით და თავზე ადგამს სპეტად მოქარგულს ნაზი გრძნობებით დიდებულ გვირგვინს...

ჰა, იღებება ოქროს ფერები უსაზღვრო ზეცა და ქვეშ სატრფონი: ზღვა და ხმელეთი... შმაგური ვნებით შეპყრობილ მიჯნურს განშორებია სურვილის სახით მისი სხივები, მწვავეთ ჩაკვრიან ფირუზა ზვირთებს. ტოკავს, ნანაობს ალერსით სავსე სატრფოს გულმკერდი ლივლივებს ყვითლათ ხათელ მოსილი.

მოსცურავს ჩქარა დიდი მიჯნური, ეშვება დაბლა, უახლოვდება სატრფოს ღიმილით. და ის კი როგორც ევას ასული, ქლის მღელვარეთ მიჯნურს მგზებარეს, ელის მის ხვევნას და კოცნას გიჟურს.

და მზე-შვენება, ვით უჩვეულო ნორჩი ჭაბუკი, მორცხვობს, წითლდება, მეტი სურვილით კარგავს შუქს, სხივებს, ნამავს მწველ თვალებს და მზაა ჩაეკრას გულში თავის სიყვარულს.

მორცხვი სიწითლე ედება სატრფოს და აჰა, ნელი-ნელ ზღვაც კი წითლდება! ერთი წამიც და მზე დაეწაფა სატრფოს სასურველს, ჩაეშვა წითლათ პონტის სიღრმეში, რომ იქ ჩასახოს მარად სიცოცხლე და უკვდავება...

და ამ გუნების დიდებულ ტრფობას ზევსურს უგალობს ზეცა და მთები. ძლივს გასაგონი ტკბილ სანეტაროთ ისმის ჰანგები,—ციური ჰიმნი; აქ კი გაისმის სიოს ცელქობით გამოწვეული ფოთოლთ შრიალი, ნაზი ტურუტი; და იქ ბუჩქებში აკრთობს, აკვნესებს სიყვარულის ჰანგს ფრთოსანთ მგოსანი.

ათას ფერებათ ადვივდა ზეცა,—ეს მზის ჩარდახი და შეიღება პონტის გულ-მკერდი, მთები და მდელო. წამის-წამ ჰქრება ის ფერადები, ნიუანსები ფანტასტიური უთმობენ ადგილს უფრო თალხ ფერებს ღამის ბინდ-ბუნდით მწუხრათ შეფერილს. და ეს ფერადთა ცვალებადობა სისწრაფით შეცვლა იტაცებს გრძნობებს, ატყვევებს მზერას.

მზერ სტიქიონთა ალერსს და ვნებას, მზერ მარადიულ მათ მწვავე ტრფობას გესმიან სულში ზეცის ჰანგები, მზერამ ფერადთა თამაშს და შეცვლას, ეს დიდი განცდა, ეს ხმა ზეციური, ეს საოცნებო სანახაობა იტაცებს თვალებს, იზიდავს შენს სულს, გავიწყებინებს ცხოვრების ვარამს, კაეშანს, მიგაფრენს მაღლა, სულ მაღლა, სიმშვენიერის და უკვდავების სამფლობელოში. და შენ, პაწია მწერი, ადამის შვილი ხდები იმ ერთ წამს მსოფლიოს წევრი, მისი ნაწილი. ამ სანეტარო დაკავშირებას განიცდის სრულად ეგ შენი სულის ყოველი წვეთი, შენი სხეულის მთელი არსება... ხანმოკლე არის ეს ნეტარება, ერთი წამია, მაგრამ იმავ დროს უუტკბესი და მარადიული...

სირანო.

1/V—923 წ.

მაცდური ბუზი.

(თეთრი ლეგენდა.)

* *

ზღვისფერ ეთერში დაიწერა თეთრი ლეგენდა. უმანკო იყო პირველ-ყოფილ ადამიანის: ტრფობა-ალერსი, ხვევნა-კოცნა და სიყვარული. მან არ იცოდა სქესობრივი ვნება და ჟინი. იმისი ლტოლვა წმინდა იყო როგორც ნაკადი... დაუსრულებელ სასიცოცხლო ჟამთა სრბოლაში, ვით ცეცხლის ბურთი-დედამიწა მარად ბორგავდა და ოქროს კედით ამონაქარგ სხივთა ჰამაკში მოუსვენრობდა, ცეცხლის ფრთებით მიმოქროლავდა.

ირგვლივ პლანეტებს დაეკარგათ მწველი სიცხოვლე და ლურჯ კამარას შეეყინენ უძრავ წერტილათ. ზღვის ანაორთქლი, თეთრი ნისლი, თოვლის გედებათ ბროლის თაღისკენ იწევდა და ვერცხლის მთებათ, მაღალ მწვერვალებს აწვებოდა ვით ბამბის ქულა.

კრთოდა ბუნება... ლივლივებდა გრილი ნიავი...

მთრთოლვარე ცრემლი დაეკურა უხვ დედამიწას და გულში ჩაწვდა, ჩაექსოვა სიცოცხლის ცვარად. აყეთქდა ძღელო... აყვავილდა ტურფა წალკოტი... წყაროს ჩქრიალმაც შეუთანხმა ტკბილი აკორდი. ჰრელი მანტია წამოისხეს ხავერდის მთებმა და მოკრიალე ხაკადები ოძისფერ შოლტებით კლდის ნაპრალებში გადაეშვენ თავდავიწყებით...

ძირს შადრევნებიც აიქოჩრენ მრავალფერებათ... დათვრა ყვავილი, უგალობა ნიავს ფსალმუნი... მთას აყურებდა ქრიამული, ფრთოსანთ ძღურტული.

აძგვარი იდგა ნაზ წალკოტში დღე საამური.

პირველი ვაჟი უდარდელი აქ დაბინავდა...

* *

მან არ იცოდა მწუხარება ამ ქვეყნიური: ჰგლოვა, ტირილი, კაეშანი, სევდა ფარული. მისი სიცილი მოკისკასე მზის სიცილს ჰგავდა.

ძლიერ მოსწყინდა მარტოობა პირველ-ყოფილ ვაჟს. ნარნარ წალკოტმა გაუჩინა მას მეგობარი. ეს ქალი იყო, ,,მზის ასული“ ტურფა, ნარნარი; თვალებ წარმტაცი, მოცინარი და ეშხიანი. მარწყვის ტუჩება, შავთვალწარბა, თმა გაწეწილი, გედურის ცქერით შუქს აფრქვევდა ქვეყნის მშვენება. ბროლის გულმკერდი უტოკავდა ვნების კოკრებით.

პირველი ვაჟი დაეწაფა მის სილამაზეს... გულში ჩაიკრა ეს ციური ქვეყნის მშვენება... მაგრამ ეს კოცნა, გულში ჩაკვრა, ხვევნა, ალერსი, უმანკო იყო ვით ბავშური რამ გატაცება. მათ არ იცოდნენ დიად ვნების იდუმალება... და ,,რაღაც,, აკლდა... აწველებდა ამ ბედნიერ წყვილს.

* *

ერთ ნარნარ დილას, შტოვანი ხის იდუმალ ჩრდილ ქვეშ, ბროლის თითებით ამონაქარგ სხივთ ხალიჩაზე, გაწოლილიყვნენ ორივენი და ნებივრობდენ...

სიცოცხლის მფრქვევი გაზაფხული აქ დროს ლაღობდა... ვეფხვები ბაღში ქიდაობდენ, მხეცებს აფრთხობდენ... ოქროს სხივებით ცხოველი მზე მწვერვალებს სწვავდა.

ტკბილად ეძინა უდარდელ წყვილს სხივთ ხალიჩაზე. ხავერდოვან ველს დილის ცვარი აკრიალებდა და ცის კამარაც კისკასებდა მზიურ სიცილით. იდგა სიჩუმე მყუდროებას სულ განაბული... უცებ გაისმა, შორს სივრცეში, რაღაც ზუზუნი. ეს ბუზი იყო უცნაური... მაცდური ბუზი... ელვის სისწრაფით გადმოეშვა იგი ზევიდან და მძინარე ვაჟს უკან ზურგში ჩაარტყა და უკბინა. მძლავრად ჩაუსო შხამიანი თვისი ისარი... მძინარე ვაჟი შეტორტმანდა, იგრძნო ტკივილი; მაგრამ შეინძრა და საშინლად ამოიგმინა... მაგრამ აქ მოხდა საოცარი...განაბა სული... და ჩაიძირა ტკბილ განცხრომის უძირო ზღვაში...

გაიხსნა კვანძი იმ ,,რაღაცა“ იდუმალების. როს გამოირკვა მზის ასულმა თავი ჩაღუნა... ალმური სწვავდა.. გულს უღრღნიდა ვნების წყურვილი... შიშველი ტანი დაიფარა ქარვის ფოთლებით.

გ. თავაძიშვილი.

შეურაცყოფის სამკაულით.

მაისის ღამემ შავ ზღვას გადააფარა უსაზღვრო ზეწარი, მოქარგული ვარსკვლავებით და მთვარით.

— გაშლილ არეზე სიწყნარეს არღვევს პატარა გემი, რომელიც შხუილით მიაპობს ტალღებს:

— ვით სიმბოლო არსებობის, ღამის სიჩუმეში განმარტოებულად ებრძვის და თელავს უფსკრულს...

— რომელი საათია?—შეეკითხა ქეთო ოთარს.

— როდესაც ჩვენ ერთად ვართ, აბა საათის ხსენება რა საჭიროა,—მიუგო ოთარმა და თან ისე ვნებიანად ჩაიხედა ქალის თვალებში, თითქო უნდოდა ამოეკითხა თავისი ბედი.

— რომელი საათია?—განმეორებით შეეკითხა ქალი.

— დააკვირდი, დააკვირდი, ჩემო ქეთო, როგორ ლამაზად ბანაობენ უფსკრულში ტალღები, თვით ქაფი, აი აგერ ის ქაფი როგორ წააგავს ჩვენს სურვილებს, ჩვენს ნდომას. ადამიანს ხომ ისე აუქაფდება ტუჩები დორბლით, როდესაც აღელდება. ტალღა და ადამიანი! უსათუოდ არის მსგავსება: ჩვენი ცხოვრებაც ტალღაა, პატარა, სუსტი ტალღა მოუსვენარ ოკეანეში.

ოთარმა ამ სიტყვებით გაიწია რამოდენიმე ნაბიჯით ბაქანზე და ჩაიხედა აქაფებულ ტალღებში, რომელთაც მიაპობდა გემი; თან მარცხენა ხელი გაუყარა ქეთოს მკლავს.

— რას შვრები? გადავარდები შიშით შესძახა ქალმა.

— შენი სიყვარული შემაჩერებს,—მიუგო ოთარმა.

— სიყვარული ვერაფერს გიშველის, დედაშენის ტანჯვასაც საზღვარი არ ექნება, ხუმრობას თავი დაანებე; თან სიცივეა, ოთარ, წავიდეთ... კმარა...

— მე შენი თვალები მიყვარს, ჩემო ქეთო; თითქო შენი თვალები ჩემი იყო ყოველთვის: თითქო ეს ზღვა, ეს გემი, ეს ხალხი, რომელსაც ეხლა კაიუტებში სძინავს, ორც კი იყო სამყაროში, როდესაც მე შენ შეგიყვარე. ყოველთვის მიყვარდი და სანამდი საუკუნოები და ისტორია დაიწყებოდა, მე და შენ ქვეყნად ვიყავით; ეხლა, ამ წუთს ამაში ისე დარწმუნებული ვარ, რომ ვერც კი წარმომიდგენია ის დრო, როდესაც მე და შენ ქვეყნად არ ვიყავით.

რას აბბობ?—სრულბით არ მესმის, მიუგო ქალმა: რა მაინც და მაინც ეხლა მოგივიდა სიყვარულის სურვილი? ნახევარ წელიწადზე მეტია თითქმის ყოველ დღე უნივერსიტეტის დერეფანში ვხვდებით ერთმანეთს... ეხლა... საკვირველია ღმერთმანი.

— სწორედ ეხლა მიყვარს მე შენი თვალები, შენი თვალები რომლებით იხედები ჩემი სული... აქამდის შენი ტანის სიახლოვე მე არ მიგრძვნია, გერიდებოდი, გახგებ ახლო არ გეკარებოდი, როდესაც თბილისში ვიყავით: მეშინოდა...

— რის გეშინოდა? შეაწყვეტინა ქეთომ...

რის? როგორ რის? ქალებს ბევრს გავეცანი, ბევრი მათგანი კარგი ოჯახებიდან იყო, თანაც ლამაზები იყვნენ, მორიდან რომ შევხედავდი სურვილი დაახლოვებისა გულში დამიწყებდა წვას, მაგრამ რომ დაუახლოვდებოდი, წარმოიდგინე ქეთო, ყველას თხის სუნი ჰქონდა.

რა საზიზღარი ხარ! მკვახედ შენიშნა ქალმა.

— რა რიგ მიყვარხარ და რა კარგია, რომ ჩვენ აქ მარტო ვართ!... ყველას სძინავს, ჩემო ქეთო, ყველას... რა კარგია მთვარეც, ზღვაც, სივრცე .. მარილიანი სისველე ჰაერის...

ამ სიტყვებით ოთარი გადაეხვია ქეთოს და კოცნამ შეწყვიტა ორი სუნთქვა.

— ბრაზმორეული ქალმა უცბად განზე გაიწია შემდეგი სიტყვებით:

— შეურაცყოფისათვის დაისჯები ოთარ!

— შეურაცყოფას რას ეძახი? შეეკითხა ოთარი.

— იმას, რასაც თქვენ მიბედავთ...

— განა ქალისთვის.., კოცნა შეურაცყოფაა?

— აბა რა არის? ამაზე მეტი შეურაცყოფა. ვერ წარმომიდგენია, გაკვირვებით წარმოსთქვა ქალმა.

— ცდებით: ქალი შეურაცხყოფილი სწორეთ მაშინ არის, როდესაც მას კაცი არ ეკარება... ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი არ ვარგა, არავის ესაჭიროება; ქალს ღირებულებას სწორედ კოცნა აძლევს: კოცნა ქალისთვის შეურაცყოფა კი არაა, პირიქით უდიდესი პატივისცემა.

ჟ. ჟ—ლი.

ზენია.

ხან თუ დედა ვარ, ვიცავ ბუნებას,
ბალღებს, ჩემს შვილებს მოვეფერები,
ხან კი მოვითხოვ იქ დაბრუნებას,
სად ცეცხლ წამების ვპოვე სცენები...

სოლომონ ბრძენმა სულამითისთვის
აქ ყოველივე ამაოდ იცნო;
მას სიყვარული ჰსურდა მხოლოსთვის,—
მეფური ყოფნა მეფურად იგრძნო.

მე ხელოვანი ასე არა ვთელი,
თუ სიყვარულის ცეცხლი მედება;
დროულ ტრფიალში ლექსებს არა ვცვლი
მე ავირჩიე შემოქმედება...

წამს თუ სადავეს ვერ ვუძღვ ვნებას
და აჩრდილები უმწეო ბავშვი,—
წამს შევეწირო მსურს ხელოვნებას,
აზრი უფსკრული იელვებს თავში!

რად აღმოცენდა მაშ სიყვარული,
თუ წმინდა სამკალს არ ვეღირსები!
მეცანჯავს ჯენია ღმერთში ფარული
და ხელოვანი სიბრძნით ვივსები.

ბაბილინა.

43°

აი, ჩემს სენაკს დრამა ანათებს...
ის კავალერი დამაავადებს;
უღონოს ვეღარ მიცვნია გლოვა,
გულის დოქტორი, ვიცი, არ მოვა,
და სიყვარულის ფილოსოფია
მიღებს მიზანში, თითქოს თოფია!

ბაბილინა.

* *
*

მეუბნებიან: გინდა თუ არა უნდა დასწერო ფაქიზი ლექსი,
თუ პოეზიით ხარ შეფოთლილი, ან და თუ გიყვარს დედის ალერსი.
სიჩუმეს სძინავს ჩემს მიმქრალ სულში, თითქოს გადავხმი და დავსამარდი,
დაღლილ გრძნობებით ხანდასმით ჩემო ასე მაქანებს ცხოვრება მარდი.

ი. ხონელი.

საქართველოს უმაღლესი სამკაული პოეზიაა, გაუმარჯოს პოეზიის დღეს!

გიჟი ზღაპრებიდან.

უდაბნოს ცხელი ქვიშა სწვავდა მის ფეხებს...
მხლებლები და ქარავანი აქლემებისა გზაში
მიატოვა, რადგან ნელი ეგონა მათი სიარული.
ოაზისები ცივი წყლით ვერ ალბობდა მის გაფიცხებულ ტუჩებს
და მაგრილებელი სიო ვერ აშრობდა ოფლის ნიაღვარს...

უდაბნოები გადმოლახა... ზღვები ტლუ ნავით გადმოსცურა. გიჟი მდინარეები განვლო და აღარ აგონდებოდა სამშობლო...

2.

ქვირფასი ფარჩეულობით მოვაჭრეებმა პირველათ მოუტანეს მისი ქება:

რომ ზღვის სამთავროში, ჩრდილო ქვეყანაში არის მზეთუნახავი, ასული ზღვის მეფისა...

და ფირუზთა მფლობელის ვაჟი შავტუხა პრინცი—თეთრი კბილებით, აენთო.

თექვსმეტი გაზაფხულის პირზე, როცა მთვარე პრიველათ ამოიპარა მთებიდან—პრინცი სახლიდან დაიძრა...

ძვირფასი ქსოვილებით მოვაჭრეებს გაყვა და დღეებს აღარ ანგარიშობდა, კვირეებს და თვეებს თავზე იმტვრევდა: მიდიოდა ჩრდილოეთით:

ზღვის ასულისკენ...

და ოცნებით გადალახა უდაბნოები, გასცურა ზღვები, განვლო მდინარეები და ზღვის სამთავროში მეფის სასახლეს ეწვია.

3.

სასახლეში ნადიმი გაუმართეს მზის ქვეყნიდან მოსულის შავტუხა პრინცს...

იყო მოკრძალება.

პატივი.

მთვარის ასული, რომ დაინახა:

დაიბნა.

ახლოს არ მიეკარა. ყურეში მიჯდა და ფიქრებში წავიდა. ელანდებოდა: ტკბილი ზღაპარი ფარჩეულის მოვაჭრეთა. უდაბნო, დასისხლებული ფეხები, გაფიცხებული ტუჩები და ოცნება ზღვის ასულზე. იწვოდა უფრო, ვიდრე უდაბნოში, მაგრამ ასულს ახლოს ვერ მიეკარა, ვერ შესძლო.

4.

— თქვენ მე არ მისმენთ, გაისმა ქალის უკმაყოფილო ხმა, მე თქვენთან პირველი მოვედი, ქალი-ვაჟთან!!

პრინცი ფიქრებში იყო წასული.

— მე თქვენთან მოვედი, კვლავ გაისმა ქალის ხმა, თქვენ კი ორი საბიჯის გადმოდგმა შეგეზარათ.

აენთო პრინცი შავი თვალებით:

აცახცახდა;

— მე ვერ გავბედე ჩემს ოცნებას მივკარებოდი... ვერ შევსძელ.

ამ სიტყვებზე ქალმა გადიხარხარა.

გაბრაზდა პრინცი.

— მე მივდივარ... ის ვინც დამადლებით ორი ნაბიჯი გადმოდგა ჩემთან მოსასვლელათ, ჩემსავით სატრფოსათვის უდაბნოებს ვერ გადალახავს.

სასახლე მიატოვა.

შეიქმნა ჩურჩული.

უკმაყოფილო ცქერა

შავტუხა პრინცს სიგიჟე დასწამეს...

ლუა ჩიაბელი.

ფიქრთა კარნავალში.

პოეტი მწირი. უიღბლო და დამწვარი სულით.
ვისმენ სირინოზთ ტკბილ გალობას ვით ოდისეი.
ვით რომ ძველ გმირებს მაგონდება ჩემი წარსული. —
ვინ გამახარებს? ვის ვუნდივარ? აწ როდის-ჰქეა!

ჩემი სიცოცხლე მომავლისთვის მრავალს ცუდს უბნობს.
გადამავიწყდა მეგობრები მათი ალერსი.
ვით ლეოპარდი დავსტირივარ ცხოვრებას უცნობს.
ჰქნება სიცოცხლე. სიყვარული უმწვერვალესი.

აზიის თვალი მხურვალებას ჩემში გადმოღვრის.
აწიოკებულს მე უცქერი დამწვარ დასავლეთს.!
მობეზრდა მიწას ქვეყნის ტანჯვა და ხმები ოხვრის-
სისხლი გადმოსდის ყუმბარებით ვით ცრემლი ჰამლეტს.

მივალ და მიმაქვს ერის რწმენა კეთილ ნებისა.
ვით პილიგრიმებს მიაქვთ აღთქმა წმინდა მექაში.
დავკარგე კვალი ნეტარების მრავალ გზების.-
და მოსჩანს ბედი გაფრენილი ვით წერო ცაში.

ვხედავ მესპობა აწ სიცოცხლის ნატვრა კეთილი.
ვით ნატვრა ძველი. ძველი ხალხის.- გრძელი გოდოლის.
ქანდაკებაში—პოეზია გამოკვეთილი-
ოჰ! სიმღერები ჩვენ დაგვატკბობს ელიოდორის.

შალვა-ციბელი.

24-4-21 წ.

ჰომიროსი.

ილიადა.

ქება პირველი.

მუზავ, ქებანი ვუძღვნათ რისხვას აქილესისას,
პელეოსის ძეს, ვინც აქეელთ ესდენ მრავალი
უბედურება დაატეხა და სახელოვან
გმირთა სულები გაისტუმრა ბნელს აიდაში,
ხოლო გვამები გადუყარა მტაცებელ ფრინველთ
და გაუმაძღარ გაავთრებულ ცოფიან ძაღლებს.
ასე აღსრულდა ნება ელვას მტყორცნელ ძევსესი,
რაც რომ იფეთქა ბნელ ქიშპობამ ხალხთა დიდ მთავარ
აღამემნონს და კეთილშობილ აქილევს შორის.
მერე ვინ იყო, რომ წაჰკიდა თვითონ უკვდავნი?
ლეტოსისა და ძევსეს შვილი, თვითონ აპოლონ!
განრისხებულმა მეფის მიერ მთელს მის მხედრობას
სნება და ჭირი აუტეხა, მოსპო მრავალი,
მხოლოდ იმიტომ, რომ მან, მეფემ, უზიწო ხრიზე
ღმერთთა ქურუმი შეურაცხო ბნელ უკმეხობით:
თურმე მოხუცი აქეელებს ეხლა სწრაფლ მსრბოლ
იალქნებ აშლილ ხომალდთა წინ და მოკრთალებით
ტყვედქმნილ ასულის გამოხსნასა ევედრებოდა.
თანაც სასყიდლად უხვი ხელით შესთავაზებდა
ოქროს კვერთხს, სკიპტრას, წითელ გვირგვინს აპოლონისას,
ვინც შორსა სტყორცნის გულის მომწყვლელ ფრთოსან ისრებს.
აი მოხუცი სახელოვან ორს წინამძღოლსა
და აბჯარ მოსილ აქეელთა ძლიერ მხედრობას
რა ცრემლთა ფრქვევით ასულის ხსნას ევედრებოდა:
,,ატრიდის ძენო, თქვენც, მამაცნო აქეელნო,
დაე, გფარვიდნენ ღმერთნი ჩვენნი ოლიმპზე მყოფნი,
დაგიმხობინოთ პრიამოსის ციხეთა ბურჯნი
და ბედნიერად დაგაბრუნოთ კვლავ თქვენს ოჯახში,
ოღონდ მიხსენით ტყვეობიდან ჩემი ასული,
მიიღეთ ძღვენთა ყოველი ეს და მით პატივი
დასდეთ ძევსეს ძეს აპოლონსა ისართა მტყორცნელს“.
აქეელებმა ფარშუბების აწკრიალებით
დასტური დასცეს, რომ მიეღოთ მოხუცის ძღვენი.
მხოლოდ ღა მეფე აღამემნონ ბრაზით ცოფს ჰყრიდა
და უკმეხ სიტყვით ქურუმს უკან გაისტუმრებდა:
,,განვედ, მოხუცო, ამ ნავთა წინ აღარ გიხილო,
თორემ ვეღარს გიშველიან ვერც ოქროს სკიპტრა
და ვერც გვირგვინი შენი მფარველ აპოლონისა.
ვედ დაგიბრუნებ ტყვე ასულსა: იგი შორს არგოსს
გამოემწყვდევა ჩემს სასახლეს ვიდრე ჟამთა სვლა
წელში არ მოჰხრის და სიბერე არ გაათეთრებს.
დაე, იქ დღე-ღამ სელი ჰპოჰოს ბნელ კედლებშია,
მწვავე ფიქრები ჩაჰკლას გულში შეთქმულობაზე,
და ჩემს ვნებათა მჩქეფრ საწოლსა ემხევლოს კრძალვით.
განვედ, ჩემს რისხვას შეაკვეცე აშლილი ფრთები,
თუ გსურს ცოცხალი დაუბრუნდე შენს სალოცავსა!“
სთქვა და დადუმდა. მოხუცი კი ზარდაცემული
დაემორჩილა მის ბრძანებას. გულ ჩათუთქული
გაჰყვა მღელვარე ზღვის ნაპირებს და მწუხარებით
შესჩივლა თავის ვაებანი ლეტოს ძეს, ფებოსს,
ოქროს კულულით დამშვენებულ მზიურ აპოლონს:
,,ღმერთო ვერცხლისა ისართ მფრქვევო, ქრიზეს მფარველო,
ვინც დასტრიალებ ძლიერ კილლას და ჰმფლობ ტენედოსს,
სმინდეს ღვთაებავ, ისმინევი ჩემი ვედრება:
თუ რომ ოდესმე შემიმკია შენი ტაძარი,
შენს სამსხვერპლოზე დამიწვია ქორფა ბატკნები,
ან თუ მსუქანი თხებისა და ხარის ფეშხონი
შემომიწირავს წრფელის გულით,—მიყავ წყალობა;
წყეულ დანაელთ შხამიანი ბასრი ისრებით
მძვირად დაუსვი შენს მლოცველის მწველი ცრემლი“.
ასე დაღად ჰყო მუნ მოხუცმა. და აპოლონმაც
მისი ვედრება შეიწყნარა: გულამღვრეულმა
რისხვის ქარიშხლით ამოიწვა მთელი გულ-გვამი,
დაეშვა დაბლა ოლიმპიდან ელვის ისრებით,
უბადლო იყო ღმერთთა შორის მწყრალად მსრბოლელი,
კუნაპეტ ღამის ალმურებით პირ ალანძული.
ხომალდთა შორი—ახლოს დადგა, მოჰზიდა შვილდი
და საზეცისწრო ისართ ფრთები აახუხუნა...

De—ka.

ქურუმი

(სამ სურათიანი პიესა)

მოქმედნი პირნი:

მენრა, ეგვიპტის ფარაონი

რიდო, მეუღლე მენრასი

შენრა, მენრას აღზრდილი მხატვარი

ქურუმი.

1-ლი სურათი:

(სცენაზე უხსოვარ დროინდელის ეგვიპტელ ფარაონის სასახლის დარბაზია. დარბაზის ერთ კედლის მთელ სივრცეზე პაპირუსის ფოთლებით გაკეთებული ფარდაა ჩამოკიდული. ფარდაზე გამოხატულია ფარაონ მენრას საქმენი საგმირონი. დღეა. ბანში აქა-იქ დატანებულ სანათურებიდან შუქი ჩამოდის. ერთი ხანათური ფარდიან კედლის ახლოსაა დატანებული და ფარდა თავიდან ბოლომდე სულ სჩანს. დარბაზის შორეული კუთხეები ბინდ-ბუნდით არის მოცული. ფარდიან კედლის ახლოს დარბაზის ერთ სვეტს შენრა მიჰყრდნობია და ფარდას მისჩერებია. მკლავები და ხელები დასისხლიანებული აქვს. უჭირავს ვარდი. შემოდის ფარაონი მენრა. ხანში შესული კაცია. სახე უბრწყინავს).

მენრა. მხიარულად არის, მხიარულად! ჩემ გულს შვება მიეცა!

შენრა. (მოტრიალდება ფარაონისაკენ, სახე უნათდება) მხიარულად არის?!. მხიარულად?

მენრა. მერე ახლა როგორ?! ასეთ გუნებაზე ჯერ არ მინახავს!.. (ფარდაზე მიუთითებს) ამ შენი ნახატის ნახვა მოიწადინა.

შენრა. გმადლობ, რავ დიდებულო, გმადლობ, რომ კეთილი თვალით გადმოგვხედე! გაუმარჯოს ჩვენ დედოფალს რიდოს! გაუმარჯოს!

მენრა. მოდის! მოდის! (სიჩუმე ჩამოვარდება. შემოდის რიდო სწრაფის ნაბიჯით. თვალებიდან სხივები გამოუკრთის).

რიდო. (შორიდანვე). აბა შენრას ნახატი? მაჩვენეთ! მაჩვენეთ! მაჩვენეთ ერთი, როგორ გამოხატა დიდებულის ფარაონის, ჩემი მეუღლის მენრას საქმენი საგმირონი!.. არა, ჯერ წყალი დამალევინეთ!.. (პაუზა) არა! არა! წყალი არ მინდა, ღვინო მომიტათ! ღვინო! ღვინო! არ გესმით? რას გაჩუმებულხართ? ღვინო მომიტათ! (მენრას) ღვინო, ადამიანო, ღვინო!.. (ფარდაზე თვალს შეაჩერებს) დიდებულია! საუცხოვოა, აი (მენრას) შენ რომ ლომი დაახრჩე. ისე გიკიდია ხელები, თითქოს ლომთან კი არა კატასთანა გქონდეს საქმეო! (შენრას) ხელოვანი ყოფილხარ, მეგობარო!.. (ვარდს დაუნახავს ხელში. განცვიფრდება) ის ვარდი!.. ის ვარდი!..

შენრა. დიახ, დედოფალო, ის ვარდი გახლავს! შენ მოიწონე და როგორ არ უნდა მომეწყვიტა და მომერთმია შენთვის?

რიდო. (მენრას) ხედავ? ეს შენი მადლობელი უნდა ვიყო! შენ რომ არ უყვარდე შენრას, განა ასე გაიმეტებდა ჩემთვის თავსა? ისეთ მიუდგომელ ადგილას იყო ამ ვარდის ბუჩქი და ისეთი ეკლები ჰქონდა, რომ დიდი გამბედაობა უნდოდა იქ ასვლას და მოწყვეტასა!

შენრა. დედოფალო, მენრა მიყვარს, ძალიან მიყვარს! უანგაროდ მიყვარს! მაგრამ შენც გიკავია ჩემ გულში ერთი მთავარი ადგილი.

მენრა. მართალია, რიდო, მართალია! ჩემ შენრას შენც ძალიან უყვარხარ: შენ როცა რამე გაწუხებს ხოლმე ეს (შენრაზე უჩვენებს) სულ მოღრუბლული დაიარება.

რიდო. (მივა შენრასთან). მჯერა და აი საბუთიც. უყურე როგორია აქვს ხელები დაგაზული! (სინჯავს დაუწყებს და სახეზე შიში აღებეჭდება) ღმერთო! ეს რა ამბავია?!.

შენრა. არაფერი, დედოფალო, არაფერი!

რიდო. როგორ არაფერი? (მენრას) ერთი უყურე, რა ღრმა ჭრილობები აქვს! ღმერთო! ზოგან ეკლები ჯერ ისევ აქვს (უღებს ეკლებს) ოოჰ! მენრა! ჭრილობებიდან სისხლი წამოუვიდა! ჩქარა შევუხვიოთ, ჩქარა! შევუხვიოთ, ღვთის გულისათვის! (ამოღებულ ეკლებს გაუშვერს) ერთი ნახე, რამ სიგრძეებია, თითქოს ისრის პირებიაო! (შენრას) თავი არ გენანებოდა?

შენრა. შენთვის, დედოფალო, რომ რამ დამენანოს, გული ამიმხედრდება.

რიდო. მენრა, ჩქარა! მომეხმარე, მოვბანოთ!

მენრა. (შენრას) რატომ არ მითხარი, შე საძაგელო? (მიდის დარბაზის ერთ ბნელ კუთხეში და მიიმალება. პატარა ხანს უკან ისევ გამოჩნდება. მოაქვს წყალი და რაღაც გამოკრული რიდოს) მოვბანოთ და აი (გამოკრულზე უჩვენებს) ეს მტვერი მოვაყაროთ. ისე შეაჩერებს სისხლის დენას, რომ შეხვევა არ დასჭირდება.

(რიდო გამოართმევს წყალსა და გამოკრულს და საქმეს შეუდგება. მენრა ახლა დარბაზის მეორე ბნელ კუთხისაკენ წავა და ღვინოს მოიტანს).

რიდო. აჰა! გათავდა. ხელად არ შეაჩერა!.. (მენრას გადახედავს) ღვინო მოგიტანია?.. ღმერთო, რა კეთილი ხალხია! მე წამის წამს მავიწყდება ჩემი სურვილები და ესენი კი იხსომებენ და მისრულებენ... დამისხი. ფიალა გამივსე... ნეტავი რათ გიყვარვარ ან შენ, (შენრას) ან კიდევ შენ ასე ძლიერ, მე უქნარა, გამოუსადეგარი?.. (პაუზა) ვარსებობ უსარგებლოდ.

შენრა. დედოფალო, მარტო შენი არსებობაც საკმარისია ჩვენთვის, ყველასათვის.

რიდო. არა! არა! (ღვინოს სვამს) როგორ დამიარა ძარღვებში!.. (შენრას ფიალას გაუწვდის) კიდევ...

შენრა. იკმარე, რიდო.

რიდო. არა, არა! მინდა ვისიამოვნო... რა გაუბედავად მისხამ?.. ფიალა გაივსო ადამიანიც ასე ხან ივსება სიხარულით ხან იცლება (სვამს) და დაცარიელებულ ადგილზე სევდა იკიდებს ფეხსა. (შენრას) რა ფერი გეცვალა? (მოუსვენრობას იგრძნობს. დარბაზს თვალს მიმოავლებს და ქურუმს დაინახავს. სახე ენისლება. ქურუმს). რათ მოხვედი? წადი აქედან! (ქურუმი სდუმს, არ იძვრის). ქურუმო რატო მაგრე მიცქერი?.. ნუ სდუმხარ!.. ღვინო ჩვენ სასმელად არ არის გაჩენილი განა? (ქურუმს სახეზე გამოურკვეველი ღიმილი გადაურბენს) ჰოი, ქურუმო, ხმა გამე, ხმა!.. რა დაჟინებით მიცქერი (ზურგს შეაქცევს). დღეს მინდა ვიმხიარულო (მენრას ფიალაზე უჩვენებს) კიდევ, კიდევ გამივსე!.. წაიღე? (თითს უქნევს და ნაძალადევის ხმით ამბობს) ჰაჰო! დამაცა ერთი! (შენრას ხუმრობით) შენ რაღათ მიცქერი აგრე? შე საძაგელო, დამცინი განა?

შენრა. გულში ნათელი მესვენება, რომ მხიარულსა გხედავ...

რიდო. (უცბად შუბლი უნაოჭდება და გულზე ხელს იტაცებს) მე დავიბადე... დავიბადე... რისთვის დავიბადე? ხომ უნდა მოვკვდე?.. რისთვის დავიბადე, რისთვის?.. კარგია რომ სიკვდილი თან დაჰყვა ადამიანს, კარგი თორემ რა უნდა ექნა (მენრას და შენრას). რატომ აგრე კრძალვით მიცქერით?

შენრა. ცა იღრუბლება და მზეს მოცინარეს სახეზე რიდე ეფარება, სხივებს სითბო აღარ მიაქვს.

რიდო. (ძალით შუბლზე ნაოჭებს გაისწორებს) არა, მე კარგადა ვარ. აი, თუ გინდა გავიცინო? (ძალად იცინის) ხედავთ რა კარგ გუნებაზე ვარ. (უცბად ქურუმს) რა გინდა, რა?.. რატომ არ მეტყვი რა გინდა? როდემდის უნდა მდიო აგრე გაჩუმებულმა (სახეზე მწუხარება ეხატება). ოოჰ, რავ! კეთილის თვალით გადმომხედე!.. მენრავ, ჩემო ერთად-ერთო!..

მენრა. ჩემო რიდო! ჩემო დედოფალო! მე მუდამ შენთანა ვარ! (ქურუმს). ქურუმო, რას ჩაგვცივებიხარ?.. (ქურუმს სახეზე კიდევ გამოურკვეველი ღიმილი გადუბრენს. მენრას რიდო გაჰყავს დარბაზიდან).

შენრა. უჰ! ჰაერი შეგუბდა... სუნთქვა მიძნელდება... (იქნევს ხელებს, თითქოს უნდა რომ ჰაერი გაფანტოსო. სურათებიან ფარდას მივარდება და გასწევს. დარბაზის ეს მხარე აივნის სახეს იღებს. გამოჩნდება პირამიდის ქვედა ნაწილი დარბაზისა და პირამიდის შუა შავად უფსკრული მოსჩანს. შენრა, შეჰკრთალი, პირამიდას) რათ მეშინიან შენ რომ დაგინახავ ხოლმე, რათა? სიკვდილის სავანე რომ ხარ, იმიტომ განა?.. (ჩაფიქრდება ცოტა ხნს, შემდეგ ისევ პირამიდას მიმართავს) შენ, ადამიანის ნაკეთებო, უფრო დიდხანს სძლებ, თვით ადამიანი კი არა!.. სასაცილოა, სასაცილო! ადამიანის ნაშობი უფრო ადრე კვდება, სანამ ადამიანის ხელით ნაცოდვილარი!.. (ყელში ხელს იტაცებს) ჰაერი არ მყოფნის, ჰაერი! (ქურუმზე თვალს შეაჩერებს). ჰეი, ქურუმო, ხმა ამოიღე, ხმა! სთქვა რა გინდა! (ქურუმს სახეზე ჩვეულებრივი ღიმილი გადურბენს) მოხუცო რას მოასწავებს შენი ეგ გამოურკვეველი ღიმილი?.. (ცოტა ხნის ფიქრის უკან წყნარად) ჯერ კი სიკეთე შენგან არა მინახავს რა... (უცბად) ჰაერი მინდა, ჰაერი!.. (სწრაფად გადის გარეთ. ქურუმი ჩუმის ხმით იცინის)

ფარდა.

მე—2 სურათი.

(ისევ ის დარბაზი. ერთ სვეტთან სდგას შენრა და ხელ რაღასაც ჰხატავს, თან მოუსვენრად კარებისაკენ იყურება. პატარახანს უკან ქურუმიც გაჩნდება).

შენრა. ნეტავი სად არიან?.. ერთი დღეც რომ გადმოვცილო და ვერა ვნახო ფარაონი და დედოფალი, გული ამიკვნესდება ხოლმე... ისე წყლის წყურვილს ვერა ვგრძნობ, როგორც უმათოობას... მაგრამ ალმხარდა, დედოფალმა რიდომ ჩემი მშფოთარე სული დააშოშმინა... (დაინახავს ქურუმს და ხელიდან სამხატვრო იარაღი დაუვარდება). რა გინდა ქურუმო? რატომ არ მასვენებ?.. ნუ! ნუ!.. ნუ იღიმები აგრე გამოურკვევლად! მითხარი, რას მიქადი? საბედისწერო ამბავი იცი? პირდაპირ მითხარი, არ შემეშინდება, ისე მაინც არ დავიტანჯები, როგორც ეხლა (ქურუმი ყრუდ იცინის). ოოჰ, რავ! რა საზარელია ეს სიცილი, რა საზარელი!

(შემოდის მენრა, ჩაფიქრებულია და ფეხს წყნარად მიადგამს. შენრა რომ დაინახავს, სახე გაუნათლდება).

მენრა. შვილო შენრა, დაანებე მაგ საქმეს თავი და მოდი ჩემთან (სავარძელზე ჩამოჯდება).

შენრა. (მენრასთან მივა) რას ინებებ, ჩემო მბრძანებელო!

მენრა. (უკმაყოფილოდ) ხომ გითხარი მბრძანებელს ნუ მეძახი-მეთქი.

შენრა. (წამოწითლებული) სულ მავიწყდება... მერე თანაც მესიამოვნება რომ ასე გეძახი... რას ინებებ?

მენრა. არაფერს ჩემ გვერდით ჩამოჯექ!

(სიჩუმე ჩამოვარდება. მენრა და შენრა ერთმანეთს უცქერიან. გაიგონებენ ქურუმის ყრუ სიცილს და შენრა ფეხზე წამოვარდება).

შენრა. ნუ იცინი აგრე, ნუ!.. ოოჰ, რავ, რა გახდა?! ლამის გული ამომისტოს თავის დუმილით და გამოურკვეველი ღიმილით!.. ყრუ სიცილით!

მენრა. დაჯექ შვილო, დაჯექ!

შენრა. ვინ არის ეგ კაცი? მითხარი, მამავ, ვინ არის?

მენრა. შენზე ადრე დავიბადე, გავიზარდე, ვიცხოვრე, გაგზარდე და იმდენი ვიცი, რამდენიც შენ მაგ კაცის ვინაობაზე. წინათ ყოფილა, არის ეხლა და მგონი, ჩვენ დავიხოცოთ და ეგ კი ისევ იყოს... დაწყნარდი.

(ისევ სიჩუმე ჩამოვარდება. პატარახანს უკან შენრა ხეზე წამოდგა და წასასვლელად ფეხს გადადგამს. მენრა უკმაყოფილოდ ხელს გაიქნევს).

შენრა. (შეჩერდება) საქმე ხომ არა არის რა?

მენრა. დაიცა! რა გეჩქარება? (ხელში ხელს წაავლებს დასვამს) შვილო, აი ეს შენ (წაიძრობს მკლავიდან იაგუნდებიან სამაჯურს და შენრას გაუკეთებს).

შენრა. (წამოწითლებული) ძვირფასია, ბატონო, ეგ სამაჯური, მაგრამ...

მენრა. სუ! ნურას მეტყვი!.. შენ (მიუთითებს ფარდაზე) ხომ ის გააკეთე... ჰო, ჰო! ხმას ნუ ამოიღებ! ვიცი რომ, რასაც აკეთებ, უანგაროთ აკეთებ ჩემთვის, მაგრამ მე მინდა ჩემი სიყვარული ჩემებურად გამოვხატო (ქურუმი ყრუდ იცინის.)

შენრა. ოოჰ, რავ! ოოჰ! გული, გული!

მენრა. (თითქოს მაშინალურად) ავად ხარ?.. ისიც ავად არის... რიდო...

შენრა. (შეშინებული) ავად არის?. მინდა ვნახო, მინდა ვნახო!

მენრა. (წყნარად, გულმტკივნეულად) პირამიდაზე ავიდა... იქ მხოლოდ ის შემიძლიან ასვლა! თვით დედოფლმა ინება ასე და (მტკიცედ) მეც ასე მინდა!

(შენრა გაშტერებულია. მენრა გამოთხოვების ნიშნად ხელს დაადებს თავზე შენრას და დარბაზიდან გადის)

შენრა. (თავისთავის) მე მაინც მათთვის სხვისა ვარ: ავად არიან და ჩემ თანაგრძნობას ერიდებიან.

ქურუმი. (ჯერ ყრუდ ჩაიცინებს და მერე ყრუდვე ამბობს) ერიდებიან.

შენრა. (გაოცებული და თავზარდაცემული) წამოილაპარაკა!.. პირველად გავიგონე მაგისაგან სიტყვა! ოოჰ! ნეტავი სულაც არ ამოეღო ხმა! რა საშინელებაა, საშინელება! ჰეი ქურუმო, იკმარე ეგ ერთი სიტყვა!.. (თავისთვის) რა უნდა ეთქვა მაგითი?.. ქურუმის სიტყვა ისეთივე გამოურკვეველი კილოთი იყო წარმოთქმული, როგორც მისი ღიმილია ხოლმე... (ქურუმს) ღვთის გულისათვის იკმარე! მაგაზე მეტს ნურარას იტყვი! (ქურუმი ნელ სიცილს ასტეხავს და შენრას გააჟრჟოლებს) საშინელებაა, საშინელებაა!.. თვალბედითი ხარ, ქურუმო, თვალბედითი! დასდუმდი! (ქურუმი ხმამაღლა ხარხარს ასტეხავს, შენრა ღელდება, გულს ცეცხლი ეკიდება, მოთმინება დაკარგული მახვილს ესვრის) არც ეხლა გაჩუმდები? არც ეხლა? (ქურუმი იმალება, მაგრამ ხარხარი არა სწყდება. შენრა სახტად დარჩომილი იყურება) ამაოო... ამაოო თვალთმაქცთან ბრძოლა!.. ამაოო... ამაოო... (თავს ჩაჰკიდებს).

ფარდა.

მე-3 სურათი

(იგივე დარბაზი. შიგ მარტო შენრაა. სურათებიანი ფარდა გადაწეულია და თვალნი პირამიდისათვის მიუპყრია)

შენრა. აქ არის... მწვერვალზე... თვე იქნება, რაც აღარ მინახავს... მენრაც თითქოს გულცივად მეპყრობა... იშვიათად დამხედავს ხოლმე... ჩემი გული კი მაინც იმათკენ მიიბრძვის... სკდება ტკივილებით... რათა?.. რათა?.. სჩანს, უცხო ვყოფილვარ მათთვის... თუ მეჩვენება?.. გული კი სკდება და!...

(ერთ ბნელ კუნჭულიდან ქურუმი გამოჩნდება. თვალები უელვარებენ. ნელი ჩუმი ნაბიჯით შენრასთან მივა და ხელს დაადებს. შენრა შეკრთება და მოტრიალდება).

ქურუმი. (ჩუმად იცინის) შენ თანაგრძნობას ერიდებიან.

შენრა. სახეზე ტანჯვა ეხატება) ქურუმო!.. (ქურუმი სიცილს განაგრძობს) რა აჩრდილივით დამდევ? მომცილდი ღვთის გულისათვის!

ქურუმი. (ყურს არ უგდებს) იქით იცქირები? იქ მხოლოდ იმათ შეუძლიანთ ასვლა, შენ კი არა.

შენრა. (მწუხარებით) ვიცი... მე მათთვის უცხო, სხვისა ვარ... მაგრამ ჩემი გული რომ მაინც იმათკენ მიიწევს? (გაბედულად) მითხარ, ქურუმო, რათ მიიწევს ჩემი გული იმათკენ? მე რომ იმათთვის სხვისა ვარ!

ქურუმი. (სახეზე გამოურკვეველი ღიმილი გადურბენს) ვისაც უნდა რომ იმათი გახდეს (სასახლისა და პირამიდის შორის მდებარე უფსკრულზე უთითებს) ეს უფსკრული უნდა გადაიაროს.

შენრა. (უფსკრულს გადახედავს და შეძრწუნდება). ოოჰ, რავ! რა საშინელებაა! (მოაჯირს შორდება). უძლური ვარ.

ქურუმი. (ჩუმის ხმით იცინის) მიხვდი რათა ხარ იმათთვის სხვისა? (ყურში რაღასაც ჩასჩურჩულებს).

შენრა. (განცვიფრებული) მე, შენი შვილი? (ზიზღით) გამეცა, კმარა! (უცბად ქურუმის თვალით გამსჭვალული უძლურდება და მოაჯირთან მდგომ სკამზე ეშვება) რა გინდა ჩემგან? გამეცა? მე არა ვარ შენი შვილი. მე ფარაონმა მენრამ გამზარდა. ისინი არიან ჩემი მახლობელნი.

ქურუმი. (მკვეთრად). არა, შენ იმათთვის მაინც სხვისა ხარ, თუმცა გაგზარდეს. თვით შენი გრძნობა გიკარნახებს ამასა... ვერა შენრა, ვერა! შენ ვერ გადივლი ამ უფსკრულსა.

შენრა. (ძალამოცემული) გადვივლი და მივაღწევ კიდეც იმ მწვერვალამდე (გადაეშვება მოაჯირიდან უფსკრულის დაქანებულ ნაპირისაკენ. ქურუმი ზევიდან ჩემ სიცილს დააყრის. ისმის მოზოვებული ქვების ხრიალი).

ქურუმი. ცოცხალი აღარ გადარჩება. ფეხს ვერსად მოიკიდებს (ქვის ხრიალი შეწყდება. შორიდან ამოაღწევს ადამიანის კვნესა. ქურუმი სიბრაზით ივსება) იქ, ბაქანზე თუ დაეცა? (დამშვიდებული) არა, მაინც არ გადარჩება ცოცხალი.

(შემოდის მენრა. ქურუმი ნელ-ნელა სცილდება მოაჯირს).

მენრა. (შეშფოთებული(ეს რა კვნესა ისმის?! (ქურუმი ჩუმის ხმით იცინის). ეჰა, ქურუმო! რას მოასწავებს ესა? სად არის ჩემი საყვარელი შენრა?

ქურუმი. (უფსკრულზე უთითებს) იქ!.. თქვენი უნდა გამხდარიყო და იქ არის.

მენრა. (დაღონებული) შენრა უფსკრულში გადაჩეხილა!.. რიდო რას იტყვის? ეს არის მწვერვალს თავი დაანება. აქ მოვა. (ქურუმს) [illegible] წადი აქედან! (ქურუმი არ იძვრის. დარბაზის კარი იღება და შემოდის რიდო).

რიდო. სად არის შენრა? (მენრასაგან პასუხს არ მიიღებს) სად არის შენრა? (კვნესას გაიგონებს) ეს რა კვნესაა? (ქურუმს დაინახავს და მწარედ ამოიოხრებს) რას გადაგვეკიდე? შენ დაღუპე განა შენრა? ოოჰ! თვალბედითო! თვალბედითო!..

ქურუმი. [უცნაურის ხმით) შენა, შენა! შენა და მენრამ (უხმოდ იცინის და დარბაზიდან გადის).

რიდო. მენრა! ხედავ იმ კუთხეს?

მენრა. ვიცი! (ხელს ჩასჭიდებს და ნაჩვენებ კუთხეში მიიყვანს. ერთ ქვას ხელს დაადებს. ქვა დატრიალდება და საიდუმლო გვირაბი გამოჩნდება) ამ გზით არ? (რიდო თავს დაუქნევს. შედიან გვირაბში და გზა ისევ იხურება ქვითა. დარბაზში მსწრაფლ შემოდის ქურუმი და საიდუმლო ქვას მივარდება და რაღასაც გაუკეთებს)

ქურუმი. (უხმოდ იცინის) ვეღარ გაიღება. (რამოდენიმე ხნის უკან კედლიდან ხმაურობა მოისმის. ქურუმი ბოროტად) ვერ გამოვლენ, ვერა!

კედლიდან მენრას ხმა. ეს რა მოსვლია ქვასა?

ქურუმი. (ხარხარს ასტეხავს) იყავით მანდა!..

კედლიდან რიდოს ხმა. ქურუმი!.. ქურუმს გაუფუჭებია! ოოჰ, რავ!.. დავიღუპენით!

კედლიდან მენრას ხმა. არა, არა! სიმხნევე ცოტა, მეგობარო, სიმხნევე! ამ მკლავმა ერთხელ ლომი დაახრჩო კატოსებრ (კლდეში ქვა იძვრის).

ქურუმი. (გამმაგებული მივარდება დაძრულ ქვასა და მიაწვება. ცდილობს შეიმაგროს) მეც შემრჩა მკლავში ძალა, მეც! უნდა დაიღუპნოთ, უნდა! ჩემ გულს ჰსურს ესა! თქვენ სამი ჩემი ანაწერა ხართ!

კედლიდან მენრას ხმა. ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ, ჩემო მეგობარო, და გავალთ! (ქვა ძვრის წამოიწევს, ქურუმი ვეღარ იმაგრებს) აჰა! გადავრჩით! (ქვა გადმოვარდება და ქურუმს ქვეშ მოიყოლებს. პატარა ხანს უკან გვირაბიდან გამოდიან რიდო და მენრა. მენრას ხელზე დარეხვილი შენრა უსვენია)

მენრა. ბოროტი ქურუმი დაძარცხდა! დაისჯა! (ზიზღით დახედავს ქურუმს). კაი ნიშანია, ჩვენი შენრაც მორჩება.

რიდო. ოოჰ, რავ! შენ გადმოგვხედე კეთილის თვალით!

ქურუმი (მისუსტებული ხმით) ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა! ჰა! მორჩებაო! კი მორჩება, მაგრამ მაგის მშვენიერ ტანზე ღრმა ნაპრძვილები დარჩება.

რიდო. რავ, დიდებულო, მოგვეხედე!

შენრა. (ბოდავს) მე მათთვის სხვისა ვარ!.. ვუყვარვარ, მაგრამ მაინც თავისად არა მთვლიან...

ქურუმი. (ნიშნით) გესმით? გესმით ჰა! ჰა! ჰა! ჰა! გესმით?

მენრა. (შენრას დაასვენებს და ქურუმს მივარდება) მოკვდი ბოროტო! (მახვილს დასცემს)

ქურმი. (ხრიალით) მე ხელახლად მოგევლინებით! ხელახლად მოგევლინებით განახლებული. მე უკვდავი ვარ!.. (უცბად კრება. რიდოსა და მენრას გაოცება აღებეჭდებათ სახეზე).

ფარდა

ინ—განი.

მისალმებანი „პოეზიის დღეს“.

მწვერვალის რედაქციას.

სალამი.

მთელი ჩვენი ახალგაზრდური აღფრთოვანებით მივესალმებით ქართულ პოეზიის დღეს. დიდება და დღეგრძელობა ჩვენი ხელოვნების დამამშვენებელ გმირებს.

მუხლს ვიდრეკთ მთაწმინდისა და დიდუბის წიაღში განსვენებულ მწერალ-მგოსანთა სახელის წინაშე.

გაუმარჯოს ქართულ პოეზიას.

ქალთა ტეხნიკუმის მოწაფეთა საღიტერატურო წრე.

სალამი.

ბათომის და ქობულეთის ქართველ-მუსულმან მოსწავლეობა და მთელი ახალგაზრდობა უერთდება საქართველოს „პოეზიის დღეს“ და უსურვებს ჩვენს უფროს ძმებს, რათა დღეს მივიწყებული და ჩიმოსჩენილი შოთას აკვანი ჩვენი მესხეთი მალე ამოსდგომოდეს მხარში მას საზოგადო ზეიმის გადასახდელად.

მუსლიმან მოსწავლეების და ახალგაზრდობის მონდობილობით

იუსუფ ცივაძე.

1-ლი ჰუმანიტარული ტეხნიკუმის ლიტერატურული წრე მხურვალე სალამს უძღვნის ქართულ პოეზიის შვიდ მაისობას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსთვის ისეთივე მზიური და წარმტაცია, როგორც მაისი და ისიც შვიდი მაისი, მთელ წლის თვეებში ულამაზესი დღე.

ლიტერატურულ წრის გამგეობა.

რიყის სუმბული.

იყო და.., რა იქნებოდა? იყო ერთი ბედნიერებით მოთინათინე მზეთ უნახავი—თინათინ. ერთხელ მრავალ სტუმართა შორის მას ეწვია შორეულ ქვეყნის მზე-ჭაბუკი, ცეცხლებრ მგზნებარე და მკვეთრი, როგორც მის ხელში მოქნეული ფოლადის ხმალი. არავინ უწყის, რა მოხდა იქ, ან რად და რისთვის, განთიადისას მზე-ჭაბუკი გაჰქრა უკვალოდ, მზის ასული კი..- თინათინ... უთინათინოდ ჩაიცრემლა ხამბახის თასში.

მისი ზღაპარი.

* *

შავი ზღვის პირას, გაბურებულ რიყეზე წავაწყდი მეტად ფერმკრთალ სუმბულს, რომელიც ლოკოკინათა ნოხს ისევე მშვენოდა, როგორც ხავერდის თავსაკრავს მღვრია ალმასის შუბლის ქინძისთავი. მეოცა. ზღვის ფრინველმა კი შემაჩერა და აი, სხვათა შორის, რა საიდუმლო გამანდო მიუსაფარ რიყის ყვავილზე:

* *

„ცისმარია დღე ოქროს ქვიშნარზე იჯდა ფერია, ლელწამი ეჭირა და ზღვის ზვირთებს შესთამაშებდა.

ცისმარია დღე დაშლილი კულულებით იჭიტებოდა ზღვის სარკეში და უხაროდა, რომ მთვარის სამოსის სიტურფითა ჰშვენოდა არეს.

ათასში ერთხელ ქინქლმორეულ ნერვებით მოულოდნელად შეჰკრთებოდა, იქვე ნაპირზე იკეცავდა და სივრცეს ისე გაჰყურებდა, თითქო უდაბნოში მაშვრალ მოგზაურს პალმები დაენახოს თვალთმაქც ჩვენებით.

მან არ იცოდა ვის უმხერდა, ასე უძრავად იჯდა, ვიდრე მზე ცეცხლის მერნებს ზღვის უფსკრულს არ შეუცურებდა. აქ კი ფერია ხმანების სამოსს იცვამდა. სიზმარეული თევზის ფრთებით დასრიალებდა მის ოცნება,

მაგრამ ზვირთი, დაუდეგარი ზღვის ზვირთი აქაც კი არ უსვენებდა, ფეხქვეშ ფერადის კენჭით ამოქსოვილ არშიას გადაუშლიდა და თან უკან გარბოდა კისკისითა.

ეხლა ერკვეოდა ფერია. უხაროდა, რომ ზღვა ათას ავარსკვლავებულ ლოკოკინათა ნოხებს წინ უშლიდა. უხმოდ აღტაცებული კვლავ სიცოცხლეს უბრუნდებოდა. ამოარჩევდა უფრო ლამაზს, თანაც მოხრდილს, ალმასებით მოვარსკვლავებულ სადაფზე შეადგებოდა და სუბუქ ნავივით სრიალებდა.

ტანად მოქნილი, როგორც ნიმფების დედოფალი, ოდნავად გახსნილი ტუჩებით უხვად ისუნთქავდა ზღვის ჰაერსა. ნესტოები უკრთოდა. ხოლო ლოკოკინის ზურგზე ფეხდაბჯენილი თითქო გასაფრენად ემზადებოდა. პირველი კოცნა ზღვის ჰაერის თმებს უწეწავდა, ვით გატყორცნილი ისრის სტვენა ყაყახოს კოჩორს. წითელ-ყვითელი ფრთოსანი თევზები და ანაღვრებული ფრინველები მის ამალობას შეჰხაროდნენ და შენატროდნენ...

* *

ერთხელ მოჰქანცა თამაშობამ, იქვე ქვიშაზე მიეძინა, რულში გაერთო. უცბად ისე ეჩვენა, თითქო ზღვის წიაღიდან თეთრი უცნაური ფრთოსანი გამოფრინდა. მართლაც, ტალღები გამოაპო თეთრმა ხომალდმა. მის მოვარაყებულ ცვერს ჰშვენოდა ისარ გადმოგდებული ფრთოსანი ვეშაპი საფირონის მღვრია თვალებით. ამაყი აფრა შრიალებდა, როგორც გედის ფრთა მთვლემარე ტბაზე.

ნაპირზე მოსვლისას ხომალდიდან ჭაბუკი გადმოხტა, ხელთ პალიტრა ეჭირა. აცეცებული თვალებით თითქო ვიღაცას დაეძებდა.

აი, ფერიას მოჰკრა თვალი. ისე იგრძნო, თითქოს გრძნეული შუქის მქრალი ტალღა თავს დაეფრქვია. გაქვავებული შეჰყურებდა შიშველ ქანდაკს, რომელსაც თვით დუმილიც კი დაეტყვევებინა. ნაზად მჩქეფარი დილის ზვირთი ფერიას ქალწულ სხეულს ლეჩაქად გადაეხურა, რომ უცნობისთვის დაემალნა უცოდველ პირველ სირცხვილის სამკაული.

მწველი ისრებით დაკოდილმა ფერიამ წვას ვერ გაუძლო და თვალები გამოაჭყიტა. ეოცა ყმაწვილი. შემდეგ შეირხა, გულიანად გადიკისკისა:,,—ეს ვინ მოსულა?''—სთქვა იდუმალ. შუშის თვალებში მიაჩერდა. ფოსფორის შუქმა მთლად დაადნო. თითქოს იცნო სასურველი, ვისაც ელოდა გამუდმებით.

— მზევ! მზევ!.. ხელებ აპყრობით დაიკვნესა უცნობ-ნაცნობმა და ოდნავად წამოიწია. ხელით პალიტრა გაუვარდა.

— ვინ ხარ, მითხარი ან რა გქვიან? ნუ სდუმხარ მაგრე. ჰკადრა უცნობმა. ფერიამ დაიფთხრიალა, ლანდსავით გაჰქრა, მაგრამ მის გულს უცნაური დარდი ეწვია.

— რად ემალები, დაუბრუნდი!—შეესმა ამ დროს. ძირს დაიხედა. დაიასამანებული ლოკოკინა ალმასებით სხივებს აფრქვევდა. რქებით მის წინ აზიდულიყო და მოითხოვდა მისგან პასუხს.

— შენ რაღა გინდა?

— მე ზღვის შვილი ვარ. კარგად ვიცი, რა არის ზღვა. . და მაგ ჭაბუკის გულიც ხომ ზღვაა... დაბრუნდი მასთან, მის ტალღებში გამოეხვიე და შეიქნები ბ ე დ ნ ი ე რ ი.

— ბედნიერიო! და მერე რა არის ბედნიერება?

— თრობა... ალერსი... ბურანში ყოფნა... თავდავიწყება...

— ,,ბურანში ყოფნა... თავდავიწყება''... გაიმეორა უაზროდ ფერიამ: ჰო, მაგრამ რომ მაინც არ მესმის...

— მიდი და გაიგებ... ოოოოჰ! ბედნიერების წვას ჩვენზე უკედ ვინ მიხვდება. როდესაც ჩვენი ღმერთი განრისხებული ზღვას აშფოთებს და უწყალოდ ამსხვრევს ხომალდებს, ერთად ერთ ალერსით და ტკბილი ზღაპრებით იბრუნებს გულს. ოჰ, ნეტავი მას, ვისაც სიცოცხლე ალერსის ზღაპრად გადუქმნია! მიდი, ნუ შიშობ, ეზიარე თავდავიწყებას!..

პასუხისთვის .რ მოუცდია. ალმასთა ჯარის მკვეთრი კრთოლვით ზღვას შეუცურდა ოდნავ წყენით.

* *

მის ნებისყოფას, მაისის ვარდს, ათასი ოქროს ფრთოსანი ფუტკარი ეახლა და თარი დაუკრა, ათიათასი პეპელა ევარსკვლავებოდა მისი შუბლის მარმაშა თავსაკრავს, ათასი მზე გადმოხრილიყო განცვიფრებით მის შეკრთომაზე. თვით ზღვაც კი, ზღვაც, რომელიც ყოველ წუთს მხიარულად სივრცეთა ჰანგებს უგალობდა, ეხლა გარინდებულიყო, თითქო თავს აბრალებდა სათაყვანოს, კვლავ სიცოცხლეს დაჰბრუნებოდა საცეკვაოდ.

სულ ვერ შევნიშნე, როგორ მოხდა, ან რად შეირხა, ან რისთვის განჩნდა კვლავ ჭაბუკთან, ქანდაკად რომ იმზირებოდა. მოლოდინის მწვავე სიყვითლე უმალ აღტაცების ვარდათ აეფურჩნა სახეზე, რა წამს შენიშნა, რომ ნიავმა ფერიას აბრეშუმის თმათა აეშარა გამოსტაცა და სამახარობლო დრომათ გადმოშლილი უეცრივ ბროლის მტევნებზე დააფარა.

— უცნობო, ვინ ხარ? ან რას ეძიებ?

— რასა და სოსანს... რიყის სუმბულს!..—ყმაწვილს სწრაფ გული აუჩვილდა.., საკვირველია: მრავალი წალკოტი მოვიარე, მრავალი ედემი გადავლახე და სუმბული... ის ნაზი ყვავილი, რომელიც სიყრმიდან ჩემს ოცნებაში გაიფურჩნა და დავეძებდი, მხოლოდ აქ ვპოვე, აქ, ამ რიყეზე...

უხმოდ გაშალა მკლავი და ათრთოლებულ კაკაბივით ჩაიკრა ნაზად ანთებული ფერიას გული.

მარჯანმა მარჯანი მონახა. ძოწეულის ტაში გაისმა და წარმოიშვა იშვიათად ლამაზი ბავშვი—ა ღ ტ ა ც ე ბ ა! ორთავემ სწორედ ეს სახელი უწოდეს: „აღტაცება“. მზე უფრო მეტად გაცხოველდა. თვალთ უნახავი ბაღნარი გადაიშალა გულის სივრცეს. მიმოხამ „ნანინა“ დაუმღერა, ხოლო ბროწეულის ყვავილთა თასი მარჯნის აკვანად დაერწია და მათს პირმშოს „აღტაცებას“ მზიური აღზრდა-გაფურჩნება დაანათლეს.

— ოჰ, რა ბედნიერნი არიან... ბედნიერნი!..

ისმოდ ირგვლივ. მხოლოდ ჯოჯოს არა სჯეროდა ეს ამბავი. ყვითელი მუცლით გამოტილიყო ცხელ რიყეზე და ენის ქასქასით იძახოდა: „ვითომდა გჯერათ? ხომ ყველამ იცით, რომ ყოველისფერი ისეთივე მოჩვენებაა, როგორც ეს ჩემი სიმახინჯე, რომელიც სინამდვილეში ყოველ სილამაზეზე ტურფაა და მიმზიდველიცაა...

— რაებსა ჰბოდავს,—იცინოდნენ აქეთ-იქიდან და წუთს უკან ისევ ბედნიერთა პირმშოს დიად მომავალს უგალობდნენ ხოტბათა ხოტბას. დედა ფერიაც ცისმარია დღე თავის პირმშოს დაჰკათკათებდა, ცისმარია დღე ალერსის ნაირ-ნაირ ნოხებსა ჰქსოვდა. ზღვიდან სირინოზებს იწვევდა და მათგან სწავლობდა ჯადოსნური ჰანგების ფრქვევას. და ეს ჰანგები მუსიკობდნენ იმდენად მძლავრად, რამდენადაც მზე ჭაბუკის გული მხურვალების ალს აიგზნებდა.

* *

როგორ გავიდა წუთი, დღე, თვე თუ წელიწადი,—ეს არ იცოდა და არც ჰსურდა, რომ ოდესმე გაეგო. სამთავე ერთად დაჰკრთოდნენ, ერთად სძებნიდნენ ჭალაკებში წითელ ხილნარსა. მაგრამ ხანგამოშვებით ჭაბუკს, თითქო დაღლილობა ეწვიაო, ფერი უკრთოდა, თვალებს ძირს ჰხრიდა.

— რა დაგემართა, რათ ჰკრთი ასე?—ჰკითხავდა შეშკრთალი ფერია, ჩაჰკრავდ[illegible]

პასუხი არასოდეს არ ჰღირსებია: ალბად ავად თუ არის.—ნაღვლობდა ფერია,—თუ ისეა, მევე ვუშველი!—და გასამხნევებლად აღარ უსვენებდა: იცი, ასე კი ნუ მიყურებ: დიდედისაგან მოძღვნილი მაქვს ყორნის ბოლო ფრთა, როცა მას გავშლი, ყოველისფერს უმალ მივაღწევ. თუ გსურს, ეხლავე ფუტკრებს შევაბამ გედთა ნაცვლად ჩემს ვარდის ნავში, გადავჭრი ოკეანის ზვირთებს და მის წიაღში დავიფულებ მზიელა კუნძულს, სადაც ყვავილები სხივმფენ ღიმილის ფრთებით სცეკვენ. ანთრაკს და გულის გუნდრუკს დავწვავ ჩემივე ცეცხლით და ნაცრად ქცეული კვლავ ზაზაფხულის ყვავილებად დაგათოვებ ხუჭუჭა თმებზე.

— არაფერია, ჩემო კარგო, სულ არაფერი...

პირველად იგრძნო გულის სიღრმეს ყორნის ფართხუნი. მხოლოდ ეხლა შენიშნა, რომ მის პირმშო „ალტაცებასაც" ლოყებზე ყვითელი ქოლგა ადგა.

* * *

ღამე სიზმრებში გაატარა. ნამგალა მთვარემ მკრთოლვარე ნავი მოსთავაზა.

— ადე, წავიდეთ.

— სად?

— თავდავიწყების კუნძულეთზე...

უსიტყოდ გაჰყვა. გვერდით ავადყოფი პირმშო მოისვეს. ნავი მიჰქროდა. გედები თვითვე გამოებნენ და სივრცის გარდაქმა წარმტაც კუნძულთან მიაყენეს.

— თავდავიწყების კუნძულეთი! თავდავიწყების კუნძულეთი!—შესძახა ფერიამ: აჰ, რა მომხიბვლელი ცხოვრებაა... მოგწონს? სთქვი, სთქვი... ნუ სდუმხარ... მეჯავრება შენი მუნჯობა. გავიქცეთ ერთად... თავდავიწყებას მიეც ფიქრი...

ყვავილთა ველზე მოჰყვა ცეკვას. ათასი ყვავილი ზაითამაშა და ათი ათასი პეპელა. ის უძრავად იდგა, თითქო ვერ შეენიშნა, რომ ფერია მისთვის ხელოვნებდა.

სთქვი, რასა ფიქრობ... რა გაწუხებს?..

მისი ჩივილი მუხლზე მდგარ ბავშვის ლოცვას ჰგავდა. ისიც შეირხა.

— გითხრა, რას ვფიქრობ? კარგი, მაგრამ იცოდე ტკივილებს მოგაყენებ... ქამი დადგა... შემთხვევით მოვხვდი შენს სამეფოს და ალერსის ბინა მივიღე. პირველ კოცნამ წარაოშვა ჩვენი პირმშო. ჩვენ მას ვუწოდეთ ალტაცება. ეს იყო ჩვენ ულამაზესი გ ა ტ ა ც ე ბ ა.

— გატაცებაო? მერე, რა არის გატაცება?

— გატაცება? ეს უანგარიშო სიხარულის სითამამეა, განცდათა რეტი, თავშეუკავებელ სიამეთა კეელუტი გზნება, გრძნობათა ჩანჩქერის გრაციეული მსხვრევათამაში, მთვრალ გაზაფხულის სავსე თასში ნექტარის შუშხუნი და ამ შუშხუნში ალმასკვეთილ წინწკალთა ფრქვევა...

— არა მესმის რა... მეშინიან... ოჰ, მეშინიან...

გულზე მიეხუტა, როგორც დათრთვილული პეპელა ზამბახის თასსა.

* * *

მთელი დღე ავად გაატარეს, თუმცა სხივმფენი ყვავილები სურნელს აფრქვევდნენ. ვარსკვლავები ჯგუფ-ჯგუფად ეწვეოდნენ და ეკარვებოდნენ ნაღვლიანებს. მალე სამთავეს ჩაეძინათ. პირმშო „ალტაცება" სულაც არ იყო ალტაცება. მართალია, მათ შორის იწვა, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, როგორც სნეული მთვარე ღრუბლებიდან.

მთვარეს ირმის ნახტომიც შვილდ სასროლად არც კი გაევლო, რომ ფერიას გამოეღვიძა. იმას, რომ პირმშოც და პაწუკიც გვერდით ახლდნენ.

— მოიცათ, მოიცათ, განთიადს ვარსკვლავთა გვირგვინებით შეგაგებებთ. სთქვა და სამოთხის ყვავილთა დასაკრებად გამოეშურა. ყვავილები კისკისით თავისკენ ეპატიჟებოდნენ და „მოგვწყვიტეო", შესძახოდნენ. და ისიც ჰკრებდა. სხივთა ძნიდან ულოსა სწნავდა და ორს გვირგვინს სათუთად აქსოვდა. თანაც აღმოსავლეთისკენ იყურებოდა, რომ განთიადს არ წამოესწრო.

— ნუ, ნუ, გეთაყვა, ნუ დაიჩქარებ გარიჟრაჟო! ცოტა მაცადე!

ემუდარებოდა იგი და ხელმარდად ყვავილს ყვავილზე უმატებდა.

* * *

მორჩა გვირგვინის ამოქსოვას, რომ ცამ იწივლა.

— წავიდნენ... წავიდნენ...

ცის კივილს ყრუ გრგვინვით ზღვამაც ბანი მისცა.

— წავიდნენ, წავიდნენ!..

დაიკვნესა ახლა თვით გულმაც და ფერიას ზარი დაეცა. გაჰხედა კარავს, სადაც დასტოვა სანუკვარნი. ბედნიერების კარავს რუხი მანდილი გადაჰკვროდა.

— ნუთუ?!—

გულგახეთქილი შეიჭრა კარავში, სანუკვართა ნაცვლად ფერმიხდილი ს ი ც ი ვ ე იწვა.

— სადახართ, სადა? დაიკივლა და ზღვის ნაპირებს მიაშურა. იქ კი, ტალღებზე, ხომალდის აფრა შეამჩნია, ზედ ბედობის დღეს რომ იხილა. იგი ამოგორებულ ცეცხლში კვლავ უცნაურ ფრინველის გრძელი ფრთებით იწურებოდა.

— ან რად მოვიდა, ან რად მკრავს ხელს?—იკითხა ქვითინით, როდესაც აფრა მთლად ჩაიწვა ცეცხლის გრიგალში: ან რას მიტოვებ ხანუგეშოს, რას?

— რას და... ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს!..

მოესმა ხმა. ამას სირინოზი იძახდა, ლოკოკინაზე გადამჯდარიყო და მზის სავარცხლით თმებს ივარცხნიდა.

— სიყვარულსაო? მერე რა არის სიყვარული?

— ნუთუ არ იცი? ეგ დაჭრილი სულის კივილია, გმინვა გულისა, გონების სრული დატყვევება სიშმაგის ცეცხლით, ვნებათა ღელვის შადრევნების პირთამდე მოხსნა, წვა მთელ სხეულის, დნობა ალზე, ვაების სივრცე, განუზომელი შავი მზისა გულს დაუფლება, მელევარებათა ოქროს თასი და იმავე დროს ობლობის მოთქმა, გით ზღვის მიმკვდარ ქალის ყრუ კვნესა...

— არა მესმის რა...

სირონოზმა გადიკისკისა:

— შენ ვერ შეისმენ, იმიტომ რომ... წვას შეუდექი...

მძლავრი გადაჰკრა ზღვის ზვირთებსა და ჩაიყვინთა...

* * *

დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა ობლად ფერია. „სიყვარული? ესაა, განა, სიყვარული"—ჰფიქრობდა იგი და ვერ ნიშნავდა, ცრემლით რარიგ ინამებოდა. მხოლოდ განთიადმა შეიბრალა უხმოდ მკვნესარი. ზეფირი ზღვიდან გაუქროლა, ფრთით სილა სტკიცა და... ის ფერია, სიყვარულით მდნარი ფერია რიყის სუმბულათ აამცენა ფერმკრთალი სახით".

ქ. თბილისი.
1919 წ. იანვარი.

Candide.

ყორანთა შორის.

საყორნეთი, რომელზედაც ეხლა საუბარი გვექნება, არის ისევ ის სასულიერო სემინარია, სადაც, ვინ იცის რამდენი სული ჩაჰქნა, რამდენი გადაგვარდა, რამდენმა დაჰკარგა ადამიანის სახება! სემინარიის კედლებს რომ უეცრივ ენის ამოდგმა შეეძლოთ, უეჭველია, ბევრს რამეს მოგვეითხრობდნენ გულის საკლევს, გულის ამამღვრეველს, გადმოგვცემდნენ არა ერთსა და ორს შემზარავ სურათს, როდესაც ნორჩ სულთა მოჯალათე რექტორები, რუსის ბერები, მოკიკინე თხებსავით გადმომდგარიყვნენ და იცინოდნენ ეშმაკეულის სახით. ეხლაც ყურში მიდგია იაეკალაძის იგავ-ზღაპარი «რას იცინი»—რისთვისაც მას მიუსაჯეს გადასახლება სამშობლოდან, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ ბერმონაზონთა მთელი ყვავი სიცილი სამცარი სისწორით აგვიწერა. ოჰ, ვინ მოსთვლის, ვინ ამ უადამიანოთა სიცილ ქვეშ რამდენი სული ჩამარხულა!

მაკვირს, ან როგორ ვძლებდით, მასსიური სიგიჟე რატომ არ გვიცავდა? ჭვილოთ რეჟიმი. მოფუსფუსე ყორან ბერების თვალყურის დევნების ქვეშ გამელილი სულით სიარული, არავითარი ხმის ამოღება, შეზღუდული და განსიზღვრული ბიბლიოთეკა, არავითარი ჟურნალ-გაზეთი, ნამეტნავად ქართული გაზეთი, არავითარი ისეთი რამ, რაც სინათლეს შემოიტანდა ჩვენს ცხოვრებაში, გამოზომილი დრო, დილით ზარი, ლოცვა, კლასი, ზარი, ლოცვა, სადილი, ლოცვა, სადამომდე გაკვეთილების კბილვა, ზარი, ლოცვა, საუზმე, ღამის ათ საათზე ისევ ზარი, ლოცვა და... ძილი, რომ ისევ დილით ზარს დაეჭერთხე, ადრიან ლოგინიდან წამოეგდე, გელოცნა და იმავე ტრაფარეტით გაგეტარებინა შემდეგი დღენი, თითქო გალიაში მომწყდეული თრითინები ვყოფილიყავით.

მაგრამ ეს ცოტაა: ღამის 12 საათზე ჩამოვიდოდა მთავარი ყვავი ინსპექტორის სახით და მისი თანაშემწე, ყველას დაგვათვალიერებდა, დაგვჩინჯავდნენ, ბალიშ ქვეშ წიგნებს ან გაზეთს ხომ არ ინახავენო, გაჩხრეკდნენ ყუთებს და ვაი მას, ვისაც რამე აღმოაჩნდებოდა! არალეგალურ ლიტერატურაზე ხომ „ამნაშავეს" რექტორის რისხვა დაატყდებოდა! არა, სემინარიის კედლებმა კარგად უწყიან, რამდენი ჯაშუშის თვალი იყურებოდა ყოველ კუთხიდან, არ იყავით დაზღვეული, რომ უადგილო ადგილსაც თვალ-ყურს არ გადევნებდნენ, რათა დაეჭირეთ როგორც არა საიმედო და მავნე სული!

ჩვენ ამ რეჟიმის უბედურებას ვიტანდით იმდენად, რამდენადაც იგი საზოგადო უბედურებას შეადგენდა. ერთი რაც ვერ აგვეტანა, იყო ის, რომ ყველა ჩვენი რექტორები, ვის ხელშიც კი გამოვიარეთ, გარყვნილნი იყვნენ, განზრახ სინოდიდგან გამოგზავნილნი, რომ ბავშვების მოწამვლა და გაუბედურება ადვილად შესძლებოდათ. ჩვენ ვიყავით მოწამენი მრავალ ჩვენთვის გაუგებარ ამბებისა, გვინახავს ის, თუ ეს „წმინდანები" ყვავები, რომელნიც სულ სულის ცხონებაზე და ხორციელ სისპეტაკეზე გველაპარაკებოდნენ, რამდენად ავხორცები იყვნენ. რექტორს, როგორც მთავარ გამგეს, ზარი ჰქონდა გამეფებული თავით მასწავლებელთა თავზე და თითქმის მონებათ გაეხადნა: ჩვენ ვხედავდით, მათს ცოლებს როგორ ურცხვად და ახდილად ისხავდნენ საყვარლებად, ხოლო ამ უკანასკნელთ შიშით ხმა ვეღარ ამოეღოთ, პირიქით, თვითონვე უგზავნიდნენ ცოლებს, რომ მათი რისხვა არ დასტეხოდათ.

მოწაფეთა გახრწნა და გაუბედურება ხომ მათი ხელობა იყო. ბერების მსხვერპლნი ხდებოდნენ ძუძუთი ისეთნი, ვისაც ნიჭს შეამჩნევდნენ: მათ აჯაშუშებდნენ, თავიანთთან იწვევდნენ, ვითომც ამხანაგებმა ზნე არ გაუფუჭონო, ნამდვილად კი... «Сексуальная уголовщина»-მ უკვე იცის, რათაც უნდოდათ ისინი. სხვათა შორის, მათ გახრწნილ ხელს ვერ გადაურჩა ერთი ჩვენი ფრიად ნიჭიერი ამხანაგთაგანი, აღგზნებული ტემპერამენტით და მგოსნური ნიჭით, რომელიც ჩვენს იმ დროინდელ არალეგალურ ჟურნალში მხურვალე მონაწილეობას იღებდა „დემონის" ფსევდონიმით—გვარად ქავთარაძე. ბოლოს თავის ბუნების სისუსტეზე იმით აღმაღლდა და დასთრგუნა თავისი ცოდვა და ყვავთაგან მიყენებული სულის სიმახინჯე, რომ საკუთარი ხელით საწამლავი გამოსცალა და სიკვდილმა ზიარებულმა მარადისობას მიაბარა თავისი სულის კუზიანი საიდუმლოება.

დემონის სიკვდილმა ყველას გული დაგვწყვიტა. მის საფლავზე მრავალი სიტყვა წარმოითქვა, გაბედული, თითქმის რევოლიუციური, რომ ასეთი რეჟიმი და ნორჩ სულთა ცოცხალ სასაფლაოთ ძალით გადმოგვეენერია. დაბრუნებისას ფარულ კრებაზე გადავწყვიტეთ გაფიცვების მოხდენა და მთელი რიგი მოთხოვნილების წამოყენება. ჩვენ მით უფრო ვთამამდებოდით, რომ პირველი მაისი ახლოვდებოდა და იმედი გვქონდა მუშების გამოსვლა ჩვენც დაგვეხმარებოდა ყორნების დაბუმბვლაში. მართალია, ერთმა ამხანაგთაგანმა გაგვცა. ღამით, აპრილის 3 უკანასკნელ დღეს ბევრი დაგვიტუსაღეს, მაგრამ იმდენად გაბოროტებულნი ვიყავით, რომ არ შევჩერებულვართ. პირველ მაისს დილიდანვე მივატოვეთ სასწავლებლის ოთახები და რაზმათ დაწყობილნი მივადექით რექტორს, მოვითხოვეთ ეკზარხოსი, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ გამოცხადდა: დაგვემალნენ. სამაგიეროდ გამოვიდა შიშისგან გაფითრებული ინსპექტორი, რომელსაც გადავეცით ჩვენი მოთხოვნილებანი. თანაც ყურდასურსულნი მოლოდინში ვიყავით მუშების გამოსვლისა.

სამწუხაროდ, ჩვენს ანგარიშში სასტიკად მოვტყუვდით. მუშათა დაგვიანებამ გული გადაგვლია და რევოლიუციური სიძლიერით ავართელი წითელი დროშა და ფანჯრებს დავუწყეთ მტვრევა. ამაში უფრო იმან გაგვახელა, რომ შევნიშნეთ ალყა შემორტყმული ვიყავით. პოლიციელნი, ჟანდარმები და ცხვირ მოუხოცელი „გოროდოვოები" შეუდგნენ „წესიერების" აღდგენას. აქ სითამამემ ყოველისფერი გადალახა: ვეინდოდა ახლა მათი იარაღის აყრა, კიდევ იმ იმედით, რომ მთავარ ქუჩებში მუშებს შევუერთდებოდით, მაგრამ ჩვენდა საბედუხოთ თოფებმა იგრიალეს და ჩვენც „დავმარცხდით".

ამ „დამარცხებას" სასტიკი შედეგი მოჰყვა: ყველანი მეორე დღეს ჟანდარმთა სამმართველოში დაგვკითხეს სათითაოდ, ერთი წლით გადაგვასახლეს თბილისიდან, ხოლო სასწავლებლის მოხდის შემდეგ ეგრედ წოდებულ „ვოლჩი ბილეთით" დაგვეტიეთ რთეს და ისე გაგვიშვეს შიშველი ბედის ანაბარად.

მხოლოდ დიდმა რევოლიუციამ ყოველ ჯურის საყორნეთის დანგრევის შემდეგ დაგვიბრუნა ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებები და მით ისტორიის ჩაბარა ჩვენი ყვითელი პასპორტებიც. **თომა ჩიქვანაია.**

ბავშვთა ნაწარმოების გამოფენა.

პატარა გამოფენა და ბევრი ფიქრები იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ჩვენი მოზარდი თაობა. როგორ აზროვნებს ის და რა მომავალს გვიმზადებენ აღზრდილი მასწავლებლები-ყველა ეს ფიქრები ელვასავით გაივლის თავში, როცა მიიხედ-მოიხედავთ ყოფილ სამხედრო ტაძრის კედელ-კუთხეებში.

მე აქ არ მინდა ვარკვიო გამოფენის მნიშვნელობა: ეს თითქმის ყველასათვის ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. მხოლოდ მინდა გაკვრით შევეხო, თუ რა აზრი აქვს პედაგოგიურ გამოფენას ეხლანდელ მომენტში.

ძველი პედაგოგიური დოქტრინები არქივს ჩაბარდა: ახალმა ამერიკის სკოლამ ბევრი რამ უარყო წარსულიდან და ნაცვლად ახალი დისციპლინები წამოაყენა. მონტესორის რეჟიმიუციამ კიდევ ბევრი რამ ახალი მოგვცა განსაკუთრებით გრძნობის განვითარებისათვის.

უახლესი სკოლა, აღმოცენებული ძველ პოლიტიკურ ნანგრევებზე, აყენებს ახალ ლოზუნგებს: აქტივობა და შრომა სკოლაში ეს უკანასკნელი სიტყვაა პედაგოგიური მეცნიერების.

სკოლის მიზანია შექმნას ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია თავისუფალ აზროვნება, გამოიჩინოს პირადი ინიციატივა-აქტივობა, და თავის ხელით გასჭედოს თავისი მომავალი. ძველი სკოლა თავისი კლასიკური მიმართულებით აშორებდა ცხოვრებას ახალგაზრდობას' გულში უნერგავდა სიყვარულს წარსულისადმი, მომავლისაკენ ლტოლვა იჩრდილებოდა ნილოსის დუდუნით, ეგვიპტის პირამიდებითა და საფინქსებით, საბერძნეთის ღმერთების ჩურჩულით, ადრიატიკის ზღვის შრიალით, მარიცის და ჰელის კორტა ხტომით, უკვდავი კაპიტოლ-რომის ლეგენდებით და ყველაფერი ეს ტკბილ ილიუზიას ქმნიდა ბავშვის გულში, აჩქევდა მას მარტო ტკბილი მოჩვენებებით ცხოვრებას.

ასე გაზრდილი ახალგაზრდა ცხოვრების უკუღმართ პირებთან შეჯახების დროს თავს უძლურად გრძნობდა, ბევრს მწარე ფიქრებს გაიფიქრებდა, ბევრს ცრემლებსაც დააფრქვევდა, მაგრამ ამაოდ. ცხოვრებისათვის საჭიროა მაგარი მკლავი მიკინის ხასიათი და შრომის უნარი. ცხოვრებას არა სწამს ნაზი მანერები, გულუბრყვილო ცრემლები... როგორ უნდა განხორციელდეს შრომის პრინციპი სკოლაში, როგორ უნდა გაიჭედოს ძლიერი ადამიანი, რომელსაც შეეძლება რაიმე დირებულების შექმნა აი ესაა ახალი სკოლის მთავარი აზრი. და რას გაძლევს ამ მხრივ ჩვენი გამოფენა.

გარეგნულად გამოფენა კარგ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს. მთავარი მიზეზი ისაა რომ ბავშების ნამუშევრები იჩრდილება ხელოვნური მხატვრობით. მნ ხვდავს თვალი ინსტიქტიურად აკვნენ გზადება კარგი იქნება ტაძრის მხატვრობა ტილოებით დაეფარათ.

ცენტრალურ ბავშთა კლუბის ნამუშევრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ოქროს თევზი, რომელსაც ხელმძღვანელის ხელი ძლიერ ჰნიდა სხვა ბევრი რამ ნაძერწავიდან ფრიად საყურადღებოა. ეტყობა ბავშებს კარგად აქვთ შესწავლილი სხვა და სხვა ფორმები და ფერები.

საინტერესოა საბავშო ბაღის ბ-ის ზოგიერთი ნაძერწავი საგნების, მაგრამ მეტ ყურადღებას იქცევს ერთ ერთ ხელმძღვანელის პრიმიტიული ცდა, მას განუძრახავს მონტესორის სისტემა გარეგანი გრძნობების განვითარების განსახორციელებლად და სამარისი იარაღებიც დაუმზადებია:

აქ თქვენ ნახავთ სხვა და სხვა ფორმის საგნებს, ფერებს, კოლოფებს, როგორც არ უნდა იყოს ეს ცდა ხელმძღვანელის დიდ დირსებათ უნდა ჩაითვალოს. მე-4-ე სკოლის ექსპონატთა შორის საყურადღებოა იქცევს მის ლანდშაფტი და ეგვიპტის საიდუმლოებანი (თუ შეიძლება ასე ვუწოდო მე) უკანასკნელი იძლევა ეგვიპტის ნების დაყოფა-ცხოვრების საუკეთესო სურათს: აქვე ნ წინ იშლება უკვდავი ნილოსი თავისი შლეებით და ნიანგებით-აქ-ე ნილოსში არის მოტივტივე ხომალდი, რომელიც ძველი ხომალდების ნიმუშს წარმოადგენს; ხომალდში ბალიშებ; შიგ ვნებიან პოზაში სწევს ცხოვრებით დამთვრალი ფარაონის ქალი და გაჭყურებს მოალერსე ტალღებს და უცნაურ სფინქსს' რომელიც მახლობლად სდგას' შორს წითლად გაკრული მზის სხივები საუკეთესოდ ახასიათებს სამხრეთის ქვეყნის სიცხოველეს. ბევრი ამ ნამუშევარს ეჭვის თვალით უყურებს, თითქოს ნს ბავშების ნამუშევარი არ არისო. შეიძლება აქ ხელმძღვანელის ხელი უფრო მოსჩანდეს' მაგრამ დეტალები და დამუშავება უეჭველად მოწაფისაა რასაც ამტკიცებს ზოგიერთი დეფექტები, რომელსაც დეტალიზაციის დროს ხელმძღვანელი არ დაუშვებდა.

საყურადღებოა № 2 საბავშო სახლის ნამუშევრები: ძვლიდან ნეკვეთები ნივთები, მხეცები და ცხოველები, ხიდან გამოჭრილი და სხვა.

პირველი მთლიანი შრომის სკოლის ზოგიერთი სურათები კარგია. შესანიშნავია თამარმეფის დროის საომარი იარაღები, რომლებიც გამოქვეყნებითა და ისტორიული სინამდვილის დაცვით არიან გაკეთებული.

მეორე მთლიანი შრომის სკოლის ნამუშევართა შორის საყურადღებოა ფიზიკური იარაღები. გეომეტრიული სხეულები და სხვა, რომლებიც ნამდვილ ბავშის ხელს გვაგონებს მხატვრული გამოფენა ფრიად სასიამოვნო სანახავია: შეთხზული ზღაპრები, მთის სურათი, სახამიო და ერთი პერსპექტიული გამოხატულება ქალაქის ნაწილის. საბავშო ბაღის ხელმძღვანელსაც საკმაო შრომის უნარი ეტყობა. ერთ ბავშს დაუხატავს რაღაცა, რაც უფრო ყანჩას წააგავს, ვიდრე ადამიანს და ზედ მიუწერია-ეს ჩემი მასწავლებელია-ეტყობა ბავშს თავისი მასწავლებელი ძლიერ ყვარებია და მოფსურვებია მას უკვდავი ძეგლი დაუდგას.

მეექვსე სკოლის ფიზიკური იარაღები, აკვარიუმი და ზოგიერთი სურათები კარგია.

საერთოდ გამოფენა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ეტყობა ბავშები ეჩვევიან მუშაობას, სად აზროვნებას, ხელოვნების სიყვარულს. მასწავლებელნი ახალ პრინციპებს ახხორციელებს სკოლაში მიუხედავად ამისა გამოფენას ბევრი ნაკლიც აქვს. ნამუშევარის დალაგებაში ყველგან ეტყობა უსისტემობა; ან რომ გაგება იმისი, თუ როგორ ვითარდება ბავშის გონება, რა მიდრეკილებანი და შემეცნებები აღვიძებენ მის გულში, თითქმის შეუძლებელია, მეორე ნაკლი ისაა, რომ კუნთურ სამუშაოს ცოტა ადგილი ქონია სკოლებში დამტებული მესამე საბუნებისმეტყველო დარგებში საკმაოდ სტატად აწარმოებენ საჭირო სამუშავეებს, მეოთხე იქა-აქ ბავშების აქტივობას მასწავლებლის ხელი აჭარბებს.

X.

თეატრი.

— თბილისის აკადემიურ დრამის გასტროლები. ივნისის პირველ რიცხვებში ბათუმში გაიმართება თბილისის აკადემიურ დრამის გასტროლები. დადგმული იქნება ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", გრ. რობაქიძის მისტერია „ლონდა" ოპერეტა ქართულათ „მასკოტი" და სხვა ცნობილ რეჟისორ კ. მარჯანიშვილის დადგმით დასი ჩამოჰყვა საგასტროლოთ მოქ. გრ. ნუცუბიძეს

ნარევი.

— **ახალი აღმოჩენანი ეგვიპტეში.** ყველას ეგონა, რომ ეგვიპტოლოგიის შესწავლა ამოწურული და გათავებული იყო' ყველას ეგონა რომ ეგვიპტის ისტორია ცხრა ფარაონთა საფლავის აღმოჩენის შემდეგ მაინც შესწავლილიყო დაწვრილებით. ამიტომაც ყველა სკეპტიკურად უყურებდა მაკ-კარტერის და ლორდ კარნარვონის ექსპედიციას ეგვიპტეში, რომელიც ათი წლის განმავლობაში უშედეგოდ ათხრევინებდა მიწას თებას მიდამოებში.

მაგრამ ბეჯითი მეცნიერნი ისევ ბეჯითად განაგრძობდნენ მუშაობას და 1922 წელსა მიწის თხრის დროს აღმოაჩინეს რაღაც სახლის კედლის მაგვარი, რომელიც ჩამარხული იყო ქვიშაში.

შემდეგ მუშაობამ და ცდამ დაამტკიცა, რომ ეს ყოფილა საფლავი ფარაონის ტუტანხამენისა მეთვრამეტე დინასტიიდან, რომელიც მეფობდა 1358 წლიდან 1350 წლამდე ქ. დაბადების წინ.

ამ ფარაონის მეფობის დროს, როგორც ჰფიქრობენ, მოხდა ებრაელთა გადასახლება ეგვიპტიდან.

აღმოჩენილი იქმნა თვით საფლავი ფარაონისა, სადაც მშვენივრად შენახულია მრავალი ისეთი ნივთები, რომელთაც დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. ამ აღმოჩენამ გამოიწვია ევროპაში დიდი სენსაცია, გაზეთებმა დაკრეს ბუკი და ნაღარა და ამის შესახებ მთელ ქვეყანას აცნობეს. ინგლისის მეფემ გიორგიმ სადეპეშოდ მიიღო ლორდი კარნარვონი. ათასობით კინოოპერატორები და ფოტოგრაფები ქვეყნის ყოველ კუთხიდან გაეშურნენ თებაში. აქითკენ მოეშურებიან აგრეთვე მრავალი ტურისტები, მეცნიერები და ცნობის მოყვარე ხალხი. ეგვიპტის მთავრობის მიერ გამზავნილია ჯარის ერთი ნაწილი ფარაონის სახლის დასაცავად.

— **პირველყოფილ სიცოცხლის აკვანი.** მთელ რიგი გამოკვლევათა და აღმოჩენათა ნათლად ამტკიცებდა იმას, რომ სიცოცხლე (ცხოველი არსი) ყველგან დედამიწის ზურგზე ერთ დროზე არ გაჩენილა და მეცნიერება დიდი ხანია ეძიებს იმ ადგილს სადაც ცხოველი არსი პირველად გაჩნდა.

ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა და მკვლევარმა როი-ჩეპმენ-ანდრიუსმა—რომლის სახელი დიდს ავტორიტეტს წარმოადგენს მეცნიერთა წრეში, აღმოაჩინა, რომ პირველი აკვანი სიცოცხლისა არის ჩინეთში შამოს უდაბნო.

ცნობილმა გეოლოგმა და პროფესორმა ოსბორნმა ამის შესახებ დასწერა მთელი რიგი გამოკვლევებისა და 1922 წელს გამოაქვეყნა, რამაც მიიპყრო მთელი ქვეყნის ყურადღება.

შამოს უდაბნოში აღმოჩენილია ძვლები დიპლოზავრისა, გიგანტურ რეპტილისა და პირველყოფილ ცხოველებისა; აქვე აღმოჩენილია ძვლები სამფეხიან „ტრიცერატოპსისა", დინოზავრ-სირაქლემასი, იგუანოდისა, Turanosaurus—rex და სხვათა.

პროფესორ ოსბორნის სიტყვით ეს აღმოჩენანი ქმნიან ახალ ეპოქას პალეონთოლოგიაში. უდაბნო შამოში, როგორც გეოლოგიური გამოკვლევანი ამტკიცებს, არ ყოფილა წინედ უდაბნო, მაგრამ შემდეგში მრავალ გეოლოგიურ კატასტროფის გამო—აქაურობას მოშორებია წყალი და მოსპობილა სიცოცხლე. ამისგამო შამოდან ცხოველნი არსნი მიმობნეულა ქვეყნის ოთხივე კუთხეში.

იბადება კითხვა, როგორ მოხდნენ შამოდან ცხოველები ამერიკაში, როცა ამერიკას ევროპა აზიიდან ყოფს ოკეანე? აქ ჩვენ წავაწყდებით ახალ მნიშვნელოვან აღმოჩენას. გეოლოგებმა ძალიან კარგად იციან, თუ როგორ იცვლებოდნენ მიწის ქვეშე კატაკლიზმების გამო მიწის ზედაპირი და ზღვა-ოკეანენი. პროფესორი ოსბორნელ გვაძლევს ჩვენ ახალი ქარტას მიწის პირველ ყოფილ მდგომარეობისას.

მისი აზრით მილიონ წლის წინედ არსებობდა კონტინენტი ანტარკტიკი, რომელიც აერთებდა ჩრდილოეთ ამერიკას, ჩრდილოეთ აფრიკას, ავსტრალიას და ახალზელანდიას. ამ გზით მიდი-მოდიოდნენ პირველ ყოფილი ცოცხალი არსნი და ამრიგადაც აწინდელ უდაბნო გშამოდან ისინი მოხვდნენ, როგორც ამერიკაში, ისე აფრიკაში და სხვაგან.

ყველაზე უფრო დაბალი მოდგმის ადამიანთა ჯიში სცხოვრობენ ავსტრალიაში, ცენტრალურ აფრიკაში და ბრაზილიაში. ეს ადგილები შამოს უდაბნოდან დიდი მოშორებითაა და ამით აიხსნება.

ამრიგად „სიცოცხლის მჭედელი", „აკვანი ცხოველთა არსისა" არის უდაბნო შამო და შამოს უდაბნოს შესწავლისაკენ მიპყრობილია მეცნიერთა დიდი ყურადღება.

— **უყველაზე ძლიერი ჰეროპლანი.** ქვეყანაზე არის ჰაეროპლანი ბიპლან ჰაერო-კამპანიისა, რომელმაც პირველად მოაწყო გადაფრენა ლონდონ-ტურინ და ტურინ-ლონდონ შუა $9^1/_2$ საათის განმავლობაში. ჰაეროპლანს აქვს მოტორი 1000 ცხენის ძალისა.

— **საოცარი ჯავშნოსანი.** ამერიკაში გამოუგონიათ ახალი ტიპის ჯავშნოსანი, რომელიც ისე დადის მიწაზე, როგორც წყალში, მხოლოდ წყალში შეცურებისას გარეგან ფორმას იცვლის.

რედაქტორი **დ. კასრაძე.**
გამომცემელი **თ. ჩიქვანაია.**

ТАКСА

[ВРЕМЕННАЯ]

Для пользования грузовыми автомобилями при перевозке грузов в пределах гор. Батума, выработанная в порядке 3-го пункта обязательного постановления ВСНХ Грузии, опубликованного в газете „Заря Востока" за № 232, и утвержденная Уполнаркомтруда в Аджаристане 4-го апреля с.г. за № 2785.

№№	Наименование пунктов.	Сумма в зол. руб.	Примечание.
1	Перевозка тяжеловесных грузов в районе иностранной пристани и не далее Таможни с пуда.	$2^1/_2$ коп.	При перевозке партии тяжеловесных грузов весом менее 200 п. взыскивается не менее как за 200 пудов.
2	Перевозка тяжеловесных грузов со двора Таможни до пристани Черномортрана.	2 коп.	
3	Перевозка тяжеловесных грузов с Черномортрана до иностранной пристани.	3 коп.	
4	Перевозка тяжеловесных грузов от иностранной пристани, двора Таможни и Мортрана до пассажирской станции.	$3^1/_2$ коп.	
5	Перевозка тяжеловесных грузов с тех же пунктов на окраины города, но не далее: Ардаганских казарм, Барцханы, завод Нобеля с пуда.	4 коп.	
6	Перевозка легковых и громоздких грузов в районе поименованных в 1, 2 и 3 пунктах с конца по	6 руб.	
7	Перевозка легковых и громоздких грузов в районах поименованных в 4 и 5 пунктах.	7 р. 50 к.	
8	За простой автомобил по вине грузовладельца более того времени, которое требуется при погрузке или разгрузке (максимум $^1/_2$ часа) взыскивается за каждый час простоя по	5 руб.	

Уполномоченный Наркомтруда Аджаристана **Вревидзе.**
Заведыв. Батумской Конторой Центротрамота **Джапаридзе.**

ნ. დ. ს. ტ.

დოქტორი
ო. ხოფერია
ქალთა და ბავშთა ავადმყოფობის.
ზღვის (მორსკაია) ქუჩა № 6.
საღამოს 5—7 საათამდე.

ДОКТОР
В. Э. ВЕНЦЕЛЬ
Специально: СИФИЛИС
(лечение „914" и др. препаратами Сальварсана), венер. кожн. болезни.
Прием от 1—3 ч. Владикавказ. 21
„ 4—6 ч. Бульварная 21
(от угла. Шепея. ул. 1 й под'езд)
20—1

ოთხშაბათი, მაისის 7
ქართული პოეზიის დღე
აკადემიურ თეატრში
საღამო-ზეიმი

განცხადება.

შრომის განყოფილება ამით აცხადებს, შრომის ბირჟის მიერ აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევრების საყურადღებოდ, რომ ა. წ. 2 მაისიდან დაიწყო ჩაწერა მსურველების ნოტანებში წასასვლელად ნოტანებ-ოზურგეთის რკინის გზის სამუშაოებზე.

მუშაობის პირობები:

1. სამუშაო დღეში—400,000 მან. ულუფით ყოველ დღე 3 გირ. პური, ½ გირ. ლობიო და მარილი. თავისი ხარჯით მომუშავე მიიღებს 500.000 მანეთს დღეში.
2. ბინა-გადაყვანა რკინის გზით და გადმოყვანა უფასოთ სამუშაო 3 თვით.

მსურველები უნდა ჩაეწერონ 5 მაისამდე.

შრომის განყ. გამგე [illegible]
საქმის მმართველი [illegible]

КОММЕРЧЕСКИЙ ОТДЕЛ КОММУНХОЗА.
Магазин „БУМ"
Михайловская 25.
МОСКОВСКАЯ
МАНУФАКТУРА
ПРОДАЖА ВСЕМ.
Цены ниже рыночных.
Рабочим и служащим скидка по представлении союзных книжек.
Также получена крупная партия НИТОК в катушках черных и белых, глазированных, лучшего сорта фабрики бывш. Морозова.

ექიმი
ი. დ.
ასამბაძე
კანითა და ვენერიული სნეულებანი.
„სიფილისი" და მისი შედეგები.
შეშხაპუნება «914» და სხვა სალვარსანის პრეპარატით.
მიღება: 8—10-დე, 6—8-დე
მისამართი: ერისთავის ქუჩა, № 13 მარინეს ქუჩის კუთხე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა პოლიგრაფ. განყ. ოსმანოვის ქ.